http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

10 მაისი
ხუთშაბათი
N13 (2058)
2007 წელი

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი — გამოდის 1927 წლიდან — ფასი 30 თეთრი

დღეს ჩვენ ყველანი ვსუნთქავთ თავისუფალი საქართველოს ჰაერით!

უნივერსიტეტს ესტონეთის პრეზიდენტი ეწვია



ნინო კაკულია

საქართველოსა და ესტონეთს, იმპერიული რუსეთის გადამწიდე, ფაქტობრივად, ერთნაირი ისტორიული სვე-ბედი და წარსული აკავშირებთ. ამიტომ არიან ესტონელები სოლიდარულნი ჩვენს მიმართ და ამიტომ ფიქრობენ ხშირად საქართველოზე. ესტონეთის პრეზიდენტის ტოომას ჰენდრიკ ილვესის სტუმრობა თბილისში საქართველო-ესტონეთის ურთიერთობის ახალი ფურცელია.

8 მაისს ესტონეთის პრეზიდენტი ტოომას ჰენდრიკ ილვესი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანმხლებ პირებთან ერთად ესტუმრა. შეხვედრას სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაიაც ესწრებოდნენ. უნივერსიტეტის რექტორმა საპატიო სტუმრებს სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ესტონეთის პრეზიდენტის უნივერსიტეტში ვიზიტი იმაზე მიუთითებს, რომ სასწავლებელს განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია ქართულ-ესტონური ურთიერთობების გაღრმავებასა და საქართველოს ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციის პროცესში.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოსა და ესტონეთის ურთიერთობები ძალზე დინამიურად ვითარდებოდა, რაც შემდგომ სტრატეგიული ხასიათის თანამშრომლობაში გადაიზარდა. დღეს ჩვენთვის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ბევრ ქვეყანას ეშინია ევროკავშირის გაფართოების და ამ პროცესს ეწინააღმდეგება. ესტონეთი მხარს უჭერს მის გაფართოებას და, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ის გაცილებით ლოიალურია.

მე-3 გვერდზე

ნებისმიერი დიალოგი სჯობს „ცივილიზაციათა შეჯახებას"

ნინო კაკულია
მაია ტორაძე

გიორგობის დღესასწაულმა საქართველოში, რელიგიურის გარდა, სახელმწიფოებრივი დატვირთვაც შეიძინა. 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციამ" ახალი ცხოვრების ტალღა შემოიტანა, 6 მაისს კი სრულიად საქართველომ აჭარის რევოლუციის 3 წლისთავი აღნიშნა. მიუხედავად აბაშიძის ანტისახელმწიფოებრივი გამოხდომებისა და სარწმუნოებრივი მრავალფეროვნებისა, აჭარა არასოდეს მოიაზრებოდა „საშიშ" რეგიონად. ჩვენდა საბედნიეროდ, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების გამო საქართველოს ერთიანობას ამ კუთხიდან საფრთხე არ დამუქრებია.

თუ საქართველოს რომელიმე კუთხეს მიუძღვის წვლილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინაშე, განსაკუთრებული და გამორჩეული როლი აკისრია აჭარას. როგორც აკადემიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, ამ კუთხის მოსახლეობაში ყოველთვის ცოცხლობდა მადლი, რომელმაც გადაარჩინა არა მარტო ეს კუთხე, არამედ მთელი საქართველო. ამის დასტურად მან დიდი ხნის წინ სარფში ერთერთ ოჯახში სტუმრობა და თავისი შთაბეჭდილებები გაიხსენა.

„1978 წელს დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნების 100 წლისთავთან დაკავშირებით აჭარაში ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციის დღეები გაიმართა. მაშინ ჩავედით სარფში. მოგეხსენებათ, ეს ყველაფერი რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული და სტუმრად აღმოვჩნდით ალი თანდილავას ოჯახში. ამ უდიდესმა მამულიშვილმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მის სახლში ყველაფერს განსაკუთრებული სიმძაფრით აღვიქვამდით. ორი რამ მართლაც დაგვამახსოვრდა: ერთი — ივანე ჯავახიშვილის ფოტო, რომელზეც იგი საზღვრის მიღმა დარჩენილ საქართველოს გაჰყურებდა და მეორე — ხელით ნაწერი აკაკი წერეთლის ლექსი — „განთიადი". ჩვენ შემდეგშიც ხშირად ვიხსენებდით იმ ეროვნულ მუხტს და განცდას, რომელიც ალი თანდილავას ოჯახში დაგვეუფლა. ეს არ იყო პიროვნების დამოკიდებულება საქართველოს ისტორიული წარსულისადმი, მისი დღევანდელობისა და ხვალინდელი დღისადმი. ეს იყო, ფაქტობრივად, ის დამოკიდებულება, რომელიც არა მარტო აჭარაში მცხოვრები ქართველების, არამედ ყოველი ჩვენგანის დამოკიდებულებას გამოხატავდა." — აღნიშნა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა.

უნდა ითქვას, რომ აჭარელი მოსახლეობის ერთიანობის გადარჩენა აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრებ მუსლიმანთა დიდი დამსახურებაცაა. მათთან ურთიერთობის გაღრმავების ფაქტორი ჩვენი ქვეყნის კეთილმოსურნეთა საზრუნავი კი ნამდვილად გახლავთ.

დღეს რევოლუცია საკუთარ მსოფლმხედველობაშია მოსამზადებელი და როგორც ჩანს, ეს წიაღსვლა დიდაჭარიდან იწყება. „ცივილიზაციათა დიალოგის" იდეის ავტორს — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ინტელიგენციის ნაწილმა უკვე მხარიც აუბა და ღია დისკუსიაშიც ჩაერთო. სიმბოლური ის გახლავთ, რომ 29 აპრილს დიდაჭარის მოსახლეობასთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა, ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრა და მათი დიალოგი დასაწყისი იყო იმ დიდი ზეიმისა, რაც 12 მაისს აჭარაში იგეგმება.

მე-6 გვერდზე

ანონსი

ქართველები ფაშიზმის წინააღმდეგ ამაოდ არ იბრძოდნენ
უნივერსიტეტში დიდი სამამულო ომის მონაწილე 6 თანამშრომელია
ÌÄ-9 ÂÅ.

ამერიკას ესმის, რით არის განპირობებული ჩვენი შეცდომები
ამერიკათმცოდნეობის კონფერენცია უნივერსიტეტში
ÌÄ-5 ÂÅ.

ევროპის ქვეყნები ევროკავშირის გაფართოებამ „დაღლა"
ინტერვიუ გერმანიის ელჩთან პატრიცია ფლორთან
ÌÄ-4 ÂÅ.

DAAD ორმაგი დიპლომის სასწავლო პროგრამებს გვთავაზობს
ÌÄ-2 ÂÅ.

„ტრაფარეტული ბოდიში არავის სჭირდება"
სტუდენტური თვითმმართველობა მართული არ არის!
ÌÄ-8 ÂÅ.

გაზეთი „ახალგაზრდა იურისტი" სტუდენტების სოციოლოგიურ გამოკითხვას იწყებს
ÌÄ-12 ÂÅ.

დოქტორანტურის კარები უკვე ღიაა
ÌÄ-2 ÂÅ.

ვახტანგ ჯობაძის წიგნმა მეორე ცხოვრება დაიწყო
პრეზენტაცია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდში
ÌÄ-11 ÂÅ.

დოქტორანტურის კარებზე უკვე ღია

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გასული წლის 31 დეკემბერს სადისერტაციო საბჭოებს მოქმედების ვადა შეუწყდათ. შეწყდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვაც. ამ ფაქტს მოჰყვა ბევრი კითხვა დოქტორანტურაში მიღების ახალი წესების თაობაზე. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომლებმაც დისერტაციის დაცვა ვერ მოასწრეს.

20 აპრილს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ, რომელმაც ბევრ კითხვას გასცა პასუხი. ეს სტანდარტი მთლიანად შეესაბამება ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის კვალიფიკაციის მოთხოვნებს.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის კვალიფიკაციის ძირითადი სტრუქტურა სამი საფეხურისგან შედგება: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეტაპობრივად განახორციელა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამების ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან დაახლოება. რაც შეეხება დოქტორანტურას, ამ საფეხურის კვალიფიკაცია განისაზღვრება შედეგებზე დაყრდნობით და, როგორც ბერგენის კონფერენციის კომუნიკეშია მინიშნებული, სრულად უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციის ძირითად სტრუქტურას.

დოქტორანტის განათლების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ცოდნის გაღრმავება ორიგინალური კვლევის მეშვეობით. ბოლონიის პროცესში ჩართულმა უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ სადოქტორო პროგრამებში ინტერდისციპლინური მიდგომა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რომლითაც დოქტორანტები საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს დაკმაყოფილებენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ ზოგად დებულებაში მინიშნებულია, რომ დოქტორანტურა „არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით“.

დოქტორანტურის მიზანია სადოქტორო პროგრამების საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა.

დებულების თანახმად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, მათ შორის უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს.

რა უნდა იცოდეს დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა?

დოქტორანტობის კანდიდატი, განაცხადის წარდგენის შემდეგ გადის გასაუბრებაზე ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი წესით. მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევაში.

დოქტორანტს მოეთხოვება ერთერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) არანაკლებ C1 დონეზე ცოდნა. დამატებითი მოთხოვნები შეიძლება დადგინდეს ფაკულტეტის დებულებით და სადოქტორო პროგრამებით.

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორი გასცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესახებ.

დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას ადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან შეთანხმებით. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული კვლევითი პროექტის განხორციელებას და დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას. დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი ნაწილია კოლოკვიუმი, რომელზეც ხდება კვლევის შედეგების პრეზენტაცია, დისკუსია, ახალი სამეცნიერო ლიტერატურის, მიღწევებისა და პრობლემების განხილვა. დოქტორანტი ვალდებულია წელიწადში ორჯერ მაინც წარდგეს სემინარზე მოხსენებით.

სწავლის და კვლევის პერიოდში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტისა. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს. სასწავლო კომპონენტი შეადგენს კრედიტების საერთო რაოდენობის 1/3-ს, დანარჩენი ეთმობა კვლევას.

დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის ან/და გაზაფხულის სემესტრებისთვის.

რა მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დისერტაცია?

ზოგადი დებულების თანახმად, დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას.

დისეტრაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. დისერტაცია დაცვის შემდეგ უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. გამოქვეყნების ვადას და მექანიზმებს განსაზღვრავს ფაკულტეტი.

დისერტაციის დაცვამდე დისერტანტს დისერტაციის სფეროში უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალებში. თუ სადისერტაციო საბჭოს დებულებით აუცილებელია უცხოელი შემფასებლის ჩართვა, დისერტანტს მოეთხოვება ორი სტატია, მათგან ერთისთვის გათვალისწინებულია საერთაშორისო რეცენზირება.

ფაკულტეტის დებულებით შეიძლება განისაზღვროს დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

ვინ შეაფასებს დისერტაციას?

დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭო დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს მინიმუმ ორ პიროვნებას. დისერტაციის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დისერტანტს უფლება აქვს, დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე.

სადისერტაციო საბჭო დისერტაციის დაცვის წინ ქმნის სადისერტაციო კომისიას, რომელიც შედგება მინიმუმ სამი წევრისაგან, რომელთაც ხმის მიცემის უფლება აქვთ. სამეცნიერო ხელმძღვანელს და შემფასებელს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება ენიჭება.

დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადაში გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

რა ფორმით შეიძლება დოქტორანტის დაფინანსება?

დოქტორანტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით.

ინფორმაცია მაძიებლებისა და ასპირანტებისთვის

დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა მაძიებელმა და ასპირანტმა უნდა ჩააბაროს დოქტორანტურაში მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული წესით. ჩარიცხული ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და აპრობაცია აქვთ გავლილი, თავისუფლდებიან მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვებისაგან. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხორციელდება მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით. გამოქვეყნებული სამი სტატიიდან ორმა უნდა გაიაროს საერთაშორისო რეცენზირება.

უკვე ჩარიცხული დოქტორანტები, რომელთაც დისერტაცია წარმოდგენილი აქვთ დასაცავად, წარადგენს გამოქვეყნებულ სტატიას საერთაშორისო რეცენზირებისთვის. საერთაშორისო რეცენზირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი და არ აქვთ ჩაბარებული მინიმუმის გამოცდები, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით.

იმ კვლევითი ინსტიტუტების ასპირანტები, რომლებთანაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დადებული აქვთ ხელშეკრულება, დოქტორანტები ხდებიან მინიმალური სტანდარტებით დადგენილი წესით.

DAAD ორმაგი დიპლომის სასწავლო პროგრამებს გვთავაზობს

20-22 აპრილს თბილისში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურმა (DAAD) 300-ზე მეტ ყოფილ სტიპენდიანტს უმასპინძლა საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ეს მნიშვნელოვანი შეხვედრები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა და მას თითქმის ყველა სფეროში მოღვაწე ახალგაზრდა მეცნიერი თუ პროფესორი დაესწრო, აქვე იყვნენ ხელოვნების წარმომადგენლები. შეხვედრებზე ძირითადი ყურადღება გამახვილდა საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხების განსახილველად ამიერკავკასიას პირველად ეწვია DAAD-ის გენერალური მდივანი კრისტიან ბოდე.

DAAD მსოფლიოში უდიდესი ფონდია, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით აკადემიურ სფეროში გაცვლას უზრუნველყოფს. ის 1925 წლის 1 იანვარს დაფუძნდა და მისი ინიციატორი ერთერთი სტუდენტი კარლ იოჯიმ ფრიდრიხი იყო, რომელმაც ნიუ-იორკის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტიდან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 13 გერმანელი სტუდენტისთვის მოახერხა სტიპენდიების მოპოვება. DAAD-ის სათაო ოფისი ქალაქ ბონში მდებარეობს და მასოფლიო მასშტაბით 14 ფილიალი და უამრავი საინფორმაციო ცენტრი აქვს. მისი ბიუჯეტი დაახლოებით 247 მილიონ ევროს შეადგენს.

გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურისთვის საქართველო ამიერკავკასიაში უადრესად მნიშვნელოვანი პარტნორია. ამჟამად გერმანიის უნივერსიტეტებში 3.300-ზე მეტი ქართველი სტუდენტი სწავლობს. ბევრი მათგანი საქართველოში დაბრუნების შემდეგ სახელმწიფო სამსახურში, ან აკადემიურ სფეროსა და საწარმოებში აგრძელებს საქმიანობას და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში, ისინი, ასევე, ხელს უწყობენ საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

სწავლება და კვლევა, კონკურენტუნარიანი საუნივერსიტეტო სტრუქტურის შექმნა — ეს ის საკითხებია, რომელზეც სხვადასხვა დარგის ქართველი და გერმანელი მეცნიერები უკვე არაერთი წელია წარმატებით თანამშრომლობენ. ბევრი ქართველი მუსიკოსისთვის, რეჟისორისა და მხატვრისთვის გერმანიაში მიღებული გამოცდილება მომავალი წარმატებული კარიერის დასაწყისად იქცა. 1991 წლიდან მოყოლებული ქართველ, სომეხ და აზერბაიჯელ სტუდენტ-მკვლევარებზე სულ 4 000 სტიპენდია გაიცა. 2005 წელს კი ამ ქვეყნებისთვის დაფინანსებამ 2,5 მილიონი ევრო შეადგინა. სამივე ქვეყანაში ფუნქციონირებს DAAD-ის საინფორმაციო ცენტრი.

ღონისძიებაზე DAAD-ის ყოფილ სტიპენდიანტებს — საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან საშუალება მიეცათ ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ თავიანთ დარგში არსებული სიახლეები, ესაუბრათ მათ ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ თუ საგანმანათლებლო ცვლილებების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიიდან მოწვეული სტუმრების სამეცნიერო მოღვაწეობა სწორედ კავკასიას უკავშირდებოდა. DAAD ცდილობს ყოფილ სტიპენდიანტებსა და მათ მასპინძელ უნივერსიტეტებს შორის კონტაქტების გაღრმავებას. ეს შეხვედრა ახალი ეტაპი იყო მომავალი ურთიერთთანამშრომლობისთვის.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში პატრიცია ფლორი და DAAD-ის გენერალური მდივანი კრისტიან ბოდე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ ხაზგასმით აღნიშნა DAAD-ის სტიპენდიანტებთან შეხვედრის დიდი მნიშვნელობა. რექტორმა ისაუბრა იმ განსაკუთრებულ ფუნქციაზე, რომელსაც შეასრულებს DAAD შავი ზღვის რეგიონის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით.

გიორგი ხუბუას თქმით, საერთო საგანმანათლებლო არეალის შექმნაში და ევროპული განათლების სტანდარტების ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ ატრაქციულობას იძენს DAAD-ის მიერ შემოთავაზებული საერთაშორისო სასწავლო კურსები, რომლითაც სტუდენტებს შეეძლებათ სათანადო დისციპლინებში ორმაგი დიპლომები მიიღონ. **„მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში უყვართ გერმანული ენა. გერმანიის უნივერსიტეტებთან პარტნიორობას ხანგრძლივი და წარმატებული ისტორია და კარგი პერსპექტივები აქვს.“** — განაცხადა რექტორმა.

ახალი პროგრამა საქართველოსთვის „მცირედი გადასვლა" იქნება ევროპულ ბაზარზე

DAAD ახალგაზრდებს სთავაზობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ორმაგი დიპლომის სასწავლო პროგრამებს, რომლებიც საკმაოდ პრეტენზიული და ამბიციურია.

კრისტიან ბოდე: **„გერმანიაში საუნივერსიტეტო ლანდშაფტი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი გახდა. ჩემი სტუდენტობის დროს არსებობდა 34 უნივერსიტეტი. დღეისათვის მათი რაოდენობა 1000-მდე გაიზარდა, გარდა ამისა ფუნქციონირებს 1000-მდე სპეციალური უმაღლესი სასწავლებელიც.**

ჩვენი მნიშვნელოვანი პროგრამებია სტიპენდიები როგორც საზღვარგარეთელებისთვის, ასევე გერმანელებისთვისაც. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდ ფინანსებს ვდებთ ჩვენი ინსტიტუციების ინტერნაციონალიზაციისათვის. დღემდე თუ ვაფინანსებდით ცალკეულ პერსონებს, ამიერიდან დავაფინანსებთ უმაღლეს სასწავლებლებს. ამ პროგრამებისთვის ყოველწლიურად დაახლოვებით 2,7 მილიონ ევროს გავიღებთ. შეიძლება ეს თანხა დროთა განმავლობაში კიდევაც გაიზარდოს.

იუნესკოს სტატისტიკური მონაცემებით გერმანიაში 3000-ზე მეტი ქართველი სტუდენტი სწავლობს. ეს საკმაოდ მაღალი ციფრია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს რაოდენობა შეადგენს მთელი მსოფლიოდან გერმანიაში მყოფი სტუდენტების თითქმის ნახევარს.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო „Lisabon-agenda"-ს თემას, რომლის ინიციატორები 2000 წელს ქალაქ ლისაბონში შეკრებილი მთავრობის წევრები იყვნენ. „Lisabon-agenda"-ს თანახმად, ევროპა, მაშასადამე, ევროკავშირი 2010 წლისათვის ცოდნაზე დაფუძნებული ძლიერი, დინამიური საზოგადოება უნდა გახდეს. ამ მიზნით მთავრობის წარმომადგენლებმა ერთობლივი პროგრამები განახორციელეს სამ სფეროში: პირველია — საერთო კვლევის სივრცე, მეორე — საერთო საუნივერსიტეტო სივრცე, მესამე — საერთო კულტურული სივრცე. განსაკუთრებით საინტერესოა მესამე სფერო, რადგან, სულ ცოტა ხნის წინ, ევროკავშირის ქვეყნები აღნიშნავდნენ, რომ ევროპა ვერასოდეს ვერ იქნება ერთიანი, რადგან ის კულტურული მრავალფეროვნებით ხასიათდება, ანუ ყოველ ქვეყანას საკუთარი კულტურა და ენა გააჩნია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია გვქონდეს ჰარმონიზაცია, უნიფიკაცია და ევროპეიზაცია. რასაკვირველია, ჩვენ ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისაგან, ვსაუბრობთ სხვადასხვა ენაზე, მაგრამ საერთო კულტურული მემკვიდრეობის, საერთო კულტურული ფუნდამენტის გარეშე ევროპა ვერ აშენდება და ვერ წარმოიქმნება საერთო ევროპული ცნობიერება. ასე რომ, დღეს უფრო ძლიერად ხდება აქცენტირება საერთო კულტურულ ღირებულებებზე, ტრადიციებსა და მიზნებზე.“

კრისტიან ბოდემ ისაუბრა 1999 წელს ევროპის ერთერთ უძველეს ბოლონიის უნივერსიტეტში ხელმოწერილი ხელშეკრულების პოლიტიკურ ხასიათზე, რომელიც მიზნად ისახავდა მჭიდროდ დაკავშირებული ერთიანი ევროპული საუნივერსიტეტო სივრცის შექმნას. სწორედ ამ ხელშეკრულების საშუალებით, შესაძლებელი გახდა, სულ რაღაც ათი წლის შემდეგ, ევროპაში შექმნილიყო სრულიად ახლებური საუნივერსიტეტო სისტემა. მან ისაუბრა იმ პრობლემებზე, რაც თან ახლავს აღნიშნულ პროცესებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად დიპლომების საფეხურებრივი სისტემა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორატურა) და მასთან დაკავშირებული აღიარებისა და მოდულარიზაციის პრობლემები დაასახელა.

ამჟამად, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ეს პროგრამა „მცირედი გადასვლა" იქნება ევროპულ ბაზარზე, რადგან ქართველი სტუდენტები მიიღებენ გერმანულ დიპლომსაც, რომელიც აღიარებულია ევროპის ყველა ქვეყანაში.

სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დანიშვნა 2008 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება

როგორც „ინტერპრესნიუსს" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან აცნობეს, სტიპენდიანტთა და სტიპენდიის მაძიებელთა რიცხვი მატულობს.

8 მაისის მონაცემებით, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია უკვე 5400-ზე მეტ მეცნიერ-თანამშრომელსა და პროფესორ-მასწავლებელს დაენიშნა.

აკადემიურ სტიპენდიანტებს შეუძლიათ სახელშეკრულებო საფუძველზე სამეცნიერო ან პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელება, აგრეთვე, სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობა.

მეცნიერ-თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური დაცვის ახალი მექანიზმის თანახმად, მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე პირისთვის სახელმწიფო თვეში 92 ლარს გამოყოფს, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მქონე პირისთვის 69 ლარს, ხოლო მეცნიერული ხარისხის მქონე პირისთვის 46 ლარს.

„ინტერპრესნიუსი“

დღეს ჩვენ ყველანი ვსუნთქავთ თავისუფალი საქართველოს ჰაერით!

უნივერსიტეტს ესტონეთის პრეზიდენტი ეწვია

პირველი გვერდიდან

,,ესტონეთი ჩვენთვის დიდი მაგალითია. ის, რაც დღეს საქართველოს მიმართ ხორციელდება, ესტონეთმა რამდენიმე წლის წინათ განვლო. ჩვენთვის ესტონეთი იმედის ორიენტირია, როგორც, ეკონომიკური თვალსაზრისით, აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე განვითარებული ქვეყანა", - აღნიშნა რექტორმა გიორგი ხუბუამ თავის გამოსვლაში. რექტორმა ძირითადად ესტონეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე ისაუბრა.

ესტონეთის პრეზიდენტის სიტყვა კი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, უფრო პოლიტიკური ხასიათისა გახლდათ და, ძირითადად, რუსულ აგრესიასთან ბრძოლის პათოსით იყო განმსჭვალული. აღსანიშნავია, რომ მათ დღემდე უწევთ პოსტსაბჭოთა სინდრომთან ბრძოლა და ჩვენგან სოლიდარობას მოელიან. თუმცა უნდა ითქვას, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის ნოსტალგია, ფაქტობრივად, არავის აქვს და, ამდენად, წარსულ აჩრდილებთან ამ კუთხით მაინც ბრძოლა ნაკლებად გვიწევს.

რაც შეეხება მეზობელი სახელმწიფოებისთვის რუსეთის მიერ ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადების არმოშლილ მავნე ჩვევას — რუსეთის ამ პოლიტიკას საქართველოც და ესტონეთიც დღეს თანაბრად ეომება. **,,მე ძალიან ხშირად მეკითხებიან, თუ რატომ ზრუნავს ესტონეთი ასე საქართველოზე. ჩვენ მართლაც ძალიან ბევრს ვფიქრობთ თქვენზე თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს შორის ძალიან ბევრია საერთო."** — მიმართა აუდიტორიას ესტონეთის პრეზიდენტმა, რომელმაც ისაუბრა ორივე ქვეყნის ოკუპაციასა და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ნოე ჟორდანიას მთავრობაზე. პრეზიდენტის თქმით, ესტონეთმა ყველაფერი გააკეთა, რათა დემოკრატიული ქვეყანა გამხდარიყო. **,,90-იან წლებში ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროკავშირში შესვლას ყველა კრიტიკულად უყურებდა, თუმცა ჩვენ გადავლახეთ ყველა ეს დაბრკოლება და გავფანტეთ ეჭვები. აქტიურად დავიწყეთ რეფორმების განხორციელება და ბოლოს საწადელსაც მივაღწიეთ."** - განაცხადა პრეზიდენტმა. მან საქართველოს უსურვა, გააგრძელოს ბრძოლა ევროსტრუქტურებსა და ნატოში გასაწევრიანებლად. **,,საქართველო ,,ვარდების რევოლუციის" შემდეგ დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა. დღეს ჩვენ ყველანი ვსუნთქავთ თავისუფალი საქართველოს ჰაერით. ეს არის ჰაერი, რომელიც განიჭებს რწმენას, რომ საქართველო იქნება დემოკრატიის განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბრწყინვალე მაგალითი, რაც გახდება ქვაკუთხედი ევროპაში შესვლისა."** — აღნიშნა ტოომას ჰენდრიკ ილვესმა და კვლავ რუსეთს გადასწვდა: — **,,რუსეთის საზღვარზე დემოკრატიას უყურებენ როგორც საფრთხეს და მხარს უჭერენ დიქტატორულ ბელორუსიას."** პრეზიდენტის რადიკალური განცხადებების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, რომ ესტონეთის ხელისუფალი მკვეთრი პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს კიდევ უფრო მეტი სითამამისკენ უბიძგებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ესტონეთის პრეზიდენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

,,ესტონეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ჩვენი კონტაქტები წარსულის ნაკვალევზე დღესაც აქტიურად ვითარდება და ესტონეთის პრეზიდენტისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიური გახდება" — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

ესტონეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას ამ წოდების მინიჭებისთვის და დოქტორის მანტიით შემოსილმა დატოვა ივანე ჯავახიშვილის სხდომათა დარბაზი.

ისტორია

ტარტუს უნივერსიტეტთან ურთიერთობის დიდი ისტორია

ესტონეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა.

საქართველოსა და ესტონეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე განსაკუთრებით გამოიკვეთა ორი ქვეყნის სურვილი ეკონომიკური და კულტურული დაახლოების თაობაზე, მით უფრო, რომ მათ საერთო ისტორია და მჭიდრო კულტურულ-საგანმანათლებლო კონტაქტები გააჩნიათ. ესტონეთის პრეზიდენტის ვიზიტისას განსაკუთრებით გაესვა ხაზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტს შორის არსებულ კონტაქტებს, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოს პირველი ლედის, ქალბატონ სანდრა რულოვსის ინიციატივით აღდგა.

ტარტუს უნივერსიტეტი დაარსდა 1632 წელს. მის შექმნას საფუძველი ჩაუყარა იუხან შუტტემ. იმ პერიოდში ბალტიისპირეთი შვედეთის განათლებული მმართველის, გუსტავ II ადოლფის დაქვემდებარებაში იყო და მისი ნებართვით და ხელმოწერით დადასტურდა დერპტის (შემდეგ იურიევის, ტარტუს) უნივერსიტეტის დაარსება.

პირველი ცნობები საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ ესტონეთში XIX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. მაშინდელ საქართველოს არაერთი ესტონელი მწერალი და ხელოვნების მოღვაწე ესტუმრა. მათ შემოქმედებაში სხვადასხვაგვარად აისახა სასიამოვნო მოგონებები საქართველოს შესახებ. თავის მხრივ, ესტონეთში და, კერძოდ, ტარტუს სახელგანთქმულ უნივერსიტეტში მიიღეს განათლება ქართული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლებმა.

XIX საუკუნის ბოლოს ქართველ მწერალთა ნაწარმოებები ესტონურ ენაზე ითარგმნა. მართალია, ასეთი თარგმანი არც ისე ბევრი იყო, თანაც ითარგმნებოდა არა ორიგინალიდან, არამედ რუსულად ან გერმანულად თარგმნილი ნაწარმოებებიდან, მაგრამ მათ მაინც შექმნეს გარკვეული შეხედულება ქართულ მწერლობაზე.

1896 წელს ესტონელმა პოეტმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ადო გრენცშტეინმა გამოაქვეყნა ესტონურად თარგმნილი ქართველ პოეტთა ლექსები: ილია ჭავჭავაძის „გაზაფხული", აკაკი წერეთლის „სამშობლოს"...

ბოლშევიკურ რევოლუციამდე საქართველოშიც ცოტა რამ იცოდნენ ესტონეთზე. პერიოდულ პრესაში აქა-იქ ჩნდებოდა მასალები ძირითადად ქალაქ ტარტუზე და ტარტუს უნივერსიტეტზე, რომელთანაც ქართველებს მჭიდრო ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ.

ხანდახან იბეჭდებოდა უფრო მნიშვნელოვანი წერილებიც - მაგალითად, 1899 წელს ჟურნალ „მოამბეში" დაიბეჭდა ნინო ზურაბიშვილის სტატია, რომელიც ეყრდნობოდა რუსულ წყაროებს და შეიცავდა ესტონელების შესახებ ეთნოგრაფიულ მასალებს. ამავე სტატიაში მოყვანილი იყო მონაცემები ესტონურ ენაზე, ლიტერატურასა და პრესაზე.

საქართველოში ესტონეთის შესახებ ძირითადი ცნობები შემოიტანეს სტუდენტებმა, რომლებიც ტარტუში სწავლობდნენ. მათ ბევრი რამ გააკეთეს ორი ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების გასაცნობად. უფრო მეტიც - ტარტუს ქართველი სტუდენტობა, მათი მოღვაწეობა და მონაწილეობა ესტონეთის რევოლუციურ მოძრაობებში ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელია საქართველო-ესტონეთის ურთიერთობებში.

ტარტუს უნივერსიტეტმა დიდი როლი ითამაშა ქართული კულტურის განვითარებაში. აქ მიიღო განათლება 500-მდე ქართველმა, რომელთაგან ბევრი შემდგომ თვალსაჩინო მოღვაწე გახდა ლიტერატურაში, ხელოვნებაში, სახალხო განათლებაში, პოლიტიკაში.

ტარტუს ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტების (40-მდე ქართველი) მეოხებით, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ტარტუ გახდა ქართული კულტურის კერა. აქ აწყობდნენ ლიტერატურულ შეხვედრებს, ქართული პოეზიის დღეებს, იქმნებოდა სამეცნიერო გაერთიანებები, პოეტური, სამეცნიერო, მუსიკალური ნაწარმოებები, ვრცელდებოდა ხელნაწერი ჟურნალები, მიმდინარეობდა მსჯელობა საქართველოში არსებულ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე.

პირველი ქართველი სტუდენტი, რომელიც ტარტუში სწავლობდა, იყო ზაქარია ზუბალაშვილი, რომელიც 1836 წელს ჩაირიცხა სამედიცინო ფაკულტეტზე. მოგვიანებით მან „კავკასიური სამედიცინო საზოგადოება" დააფუძნა.

ერთერთი პირველთაგანია ზურაბ აბდუშელიშვილი, რომელიც 1887-1890 წლებში სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, საიდანაც რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურობისათვის პოლიციასთან უთანხმოების გამო გარიცხეს. ეს ამბავი სიმბოლურია იმითაც, რომ ანალოგიური ბედი ჰქონდა სხვა ქართველ სტუდენტებსაც - პოლიციის მეთვალყურეობა, აქტიური მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში, ფართო კავშირები ტარტუს მრავალეროვან სტუდენტობასთან.

ესტონეთის პრესაში მაშინ ხშირად იწერებოდა, რომ ქართველები სისტემატურად მართავდნენ საღამოებს. ავტორები ბევრ საერთოს ხედავდნენ ქართველ და ესტონელ ხალხს შორის. ამავე წერილების ავტორები მიანიშნებენ, რომ XX საუკუნის დასაწყისის ტარტუში ამ საღამოების სულისჩამდგმელი იყო კოტე ფოცხვერაშვილი, რომელიც შემდგომში თვალსაჩინო კომპოზიტორი და მუსიკალური მოღვაწე გახდა. ტარტუში ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და პარალელურად ხელმძღვანელობდა ქართველი სტუდენტების გუნდს და ორკესტრს.

ტარტუში სწავლობდა ქართველ მწერალთა ერთი ნაწილი, რომელთაგან გამორჩეული სახელია ქართული სიმბოლიზმის ერთერთი მამამთავარი და „ცისფერყანწელების" თეორეტიკოსი - გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ძალზე აქტიური იყო ქართულ საღამოებზე, თანამშრომლობდა პრესასთან. იგი ტარტუში ჩამოყალიბდა როგორც მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი. 1931 წელს გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაში წავიდა გერმანიაში, სადაც აგრძელებდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. გარდაცვალების შემდეგ გერმანულ პრესაში გაჩნდა სტატიები, სადაც გრ. რობაქიძეს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსს უწოდებდნენ.

ტარტუში გამართული ქართული ლიტერატურული საღამოები გამოირჩეოდა იმით, რომ ისინი საინტერესოდ იყო გაფორმებული და დადგმული. როგორც ჩანს, ტარტუში ამ საღამოებმა ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ ელიტა მათ არასოდეს აკლდებოდა.

ცნობილია ისიც, რომ ქართველები ტარტუში გამოსცემდნენ იუმორისტულ ჟურნალს „კოღო", რომლის მხოლოდ ერთადერთი ნომერია შემორჩენილი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტარტუს უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული პეტრე ჭაბუკიანი, რომლმაც შემდგომი მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირა ქართული სოფლების შესწავლას.

1920-იან წლების დასაწყისში ის გატაცებული იყო არქეოლოგიითა და პალეონტოლოგიით, მან ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველყოფილი ადამიანის არაერთი სადგომი აღმოაჩინა. 1925 წელს შეისწავლა სათაფლიის მღვიმე, იშვიათი ტიპის კასტრული გამოქვაბული. ამ ტერიტორიაზე დღესაც არსებობს ნაკრძალი, რომელიც კოლხეთს სხვადასხვა მეცნიერებისთვის ხდის საინტერესოს: ბოტანიკოსებისთვის (სუბტროპიკული ტყე, კოლხური ტიპის ფლორა), სპელეოლოგებისთვის (სტალაქტიტების გამოქვაბული), პალეონტოლოგებისთვის (დინოზავრების ნაკვალევი), ვულკანოლოგებისთვის (ჩამქრალი ვულკანის კრატერი), მინერალოგებისთვის და ა.შ.

ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა გაამდიდრეს XX საუკუნის ქართული ლიტერატურული ცხოვრება. მათ შორის, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ლიტერატურის კრიტიკოსი და ფოლკლორისტი, მოქანდაკე და ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ კოტეტიშვილი.

იგი სწავლობდა პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში. შემდეგ, 1915-17 წლებში, ტარტუს უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. გარდა ამისა, ვახტანგ კოტეტიშვილი სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის სკულპტურის კლასში. უდიდესი ერუდიტი, მსოფლიო ლიტერატურის შეუდარებელი მცოდნე, იშვიათი მეხსიერების მფლობელი ვახტანგ კოტეტიშვილი იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთერთი ხელმძღვანელი და ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან დიდი ენერგია შეალია ქართული ფოლკლორის ნიმუშების შეგროვებასა და შესწავლას. ხოლო ალექსანდრე ყაზბეგის სკულპტურა, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილმა შექმნა, ხელოვნების ნიმუშია.

ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი იყვნენ ასევე: აკადემიკოსი კ. ერისთავი, პროფესორი ვლადიმერ თოხაძე (ექიმი), იურისტი ირადიონ სურგულაძე და სხვა ქართველი „ტარტუელები", რომლებიც დღესაც აქტიურად განაგრძობენ მოღვაწეობას.

XX საუკუნის 10-20-იან წლებში საქართველოსა და ესტონეთს შორის კულტურული და ლიტერატურული კავშირი თითქმის შეწყდა. ესტონეთის ბურჟუაზია, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა, მიილტვოდა დასავლეთისაკენ და ერიდებოდა „წითლებთან" კავშირს.

1920-იანი წლების დასაწყისში ტალინში ფუნქციონირებდა საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანება, რომელშიც შედიოდნენ ემიგრანტები და ის ქართველები, რომლებიც მთელ ქვეყანაში მოდებული რევოლუციური ბრძოლების გამო ვერ დაბრუნდნენ საქართველოში. ამ გაერთიანებას ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობის გაღაღმავებლად არავითარი როლი არ უთამაშია.

ამ პერიოდის ესტონური პრესის ფურცლებზე მხოლოდ ორი ქართული ნაწარმოების თარგმანი დაიბეჭდა — აკაკი წერეთლის „კოღო და ბუზი" (1923) და გრიგოლ რობაქიძის „იმამ შამილი" (1931). ესეც, ეტყობა, არ იყო შემთხვევითი. გრიგოლ რობაქიძე სწორედ ამ წლებში წავიდა ემიგრაციაში და ცნობილი იყო დასავლეთში, რითაც ესტონელების ყურადღებაც მიიპყრო.

ასეთი იყო ესტონეთისა და საქართველოს ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები 1940 წლამდე.

საქართველო ტარტუს უნივერსიტეტის დაარსების 375 წლისთავს სექტემბერში აღნიშნავს

დღეს ტარტუს უნივერსიტეტი ევროპაში ერთერთი წარმატებული და მაღალრეიტინგული უმაღლესი სასწავლებელია. მას ეკუთვნის უამრავი სასწავლო კორპუსი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თანამშრომლობს მსოფლიოს ყველა წამყვან უნივერსიტეტთან, აქვს საკუთარი სამედიცინო-პროფილაქტიკური ცენტრები, კარგად აღჭურვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის საცავი 10 მილიონამდე წიგნს ითვლის.

რადგან ქალაქი სტუდენტურია, გათვალისწინებულია კარგად მოწყობილი საერთო საცხოვრებლები, ფაკულტეტების მიხედვით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის განვითარება, რომელიც ყალიბდებოდა ჯერ ჰოლანდიური, შემდეგ დასავლეთევროპის ყველაზე პროგრესული მიმართულებით.

ამ უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს (ფილოსოფიური, თეოლოგიური, იურიდიული, სამედიცინო) ჰყავს სხვადასხვაენოვანი სწავლული პროფესორები, მისი კარი ღიაა ყველა სოციალური ფენისა და ეროვნების წარმომადგენლებისთვის.

2007 წელს ტარტუს უნივერსიტეტს დაარსებიდან 375 წელი უსრულდება. ამ თარიღთთან დაკავშირებით სექტემბრის თვეში საქართველოს დაგეგმილი აქვს ღონისძიებების მოწყობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტარტუს უნივერსიტეტს მჭიდრო ურთიერთობები აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მუშაობს გაცვლითი პროგრამები, რომლის მონაწილე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გაიღრმავონ ცოდნა და გაეცნონ ამ ორი ქვეყნის ისტორიასა და ცხოვრებას.

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის **თეა ბერგელაძეს** ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასულ სემესტრში გაცვლითი პროგრამებით სწავლობდა ორი ტარტუელი სტუდენტი. მიმდინარე სემესტრში სწავლობს — სამი. რაც შეეხება ქართველ სტუდენტებს, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაგზავნილია 6 სტუდენტი. ამჟამად გამოცხადებულია კონკურსი, რომელიც მომავალი სემესტრისთვის შეარჩევს ორს ან სამ სტუდენტს. შესაბამისად, გაცვლითი პროგრამით უნივერსიტეტიც მიიღებს ტარტუელ სტუდენტებს.

ამ ეტაპზე ორივე უნივერსიტეტს შორის ურთიეთობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე იწყება მუშაობა, რასაც ხელს შეუწყობს ტარტუში უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას ვიზიტი, რომელიც დაგეგმილია ტარტუს უნივერსიტეტის დაარსებიდან 375 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

ევროპის ქვეყნები ევროკავშირის გაფართოებამ „დაღალა“

ინტერვიუ გერმანიის ელჩთან პატრიცია ფლორთან

პატრიცია ფლორი, დაიბადა 1961 წლის 19 ოქტომბერს ქ. ნიურნბერგში. ჰყავს მეუღლე — არმინ მორიტცი. 1985 წელს მუშაობდა დამოუკიდებელ ჟურნალისტად აშშ-ში. 1985-1989 წლებში სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში ისტორიას, ფილოსოფიას, სლავისტიკასა და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიას. 1989 წელს მიიღო მაგისტრის წოდება. 1989-1992 წლებში, როგორც ასპირანტი იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთსა და რუსეთში სამეცნიერო მივლინებებით. 1992-1993 წლებში გაიარა მომზადება მაღალი რანგის საგარეო სამსახურისთვის, 1993-1995 წლებში იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენელი ალმაატაში, 1994 წელს მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება (აღ. ევროპის ისტორია, საერთაშორისო ეკონომიკა), 1995-1996 წლებში გაიარა სასწავლო კურსი ბოსტონის ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებულ ჯონ კენედის სახელობის სამთავრობო სკოლაში, იყო სახელმწიფო ადმინისტრაციის დარგის მაგისტრი. 1996-2000 მუშაობდა გაეროს მუდმივ წარმომადგენლობაში, ნიუ ორკში. 1998-200 წლებში იყო გაეროში ქალთა უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე. 2000-2006 წლებში მუშაობდა გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში. 2002-2006 წლებში იყო საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში საპარლამენტო და მინისტრთა კაბინეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ანა კირვალიძე

— როგორ აფასებთ ევროკავშირის როლს მსოფლიოში მისი შექმნიდან 50 წლის შემდეგ?

— ჩემი აზრით, ევროკავშირი მსოფლიოსთვის არის ის მოდელი, რომლითაც შესაძლებელი გახდა სახელმწიფოთა შორის კონსტრუქციული თანამშრომლობით და მშვიდობიანი გზით კონფლიქტების მოგვარება და კეთილდღეობის შენარჩუნება. ევროკავშირი თავისი წევრი ქვეყნებისთვის უზრუნველყოფს მშვიდობას, სტაბილურობას და კეთილდღეობას.

— ხშირად აღნიშნავენ, რომ ევროკავშირში არ არსებობს *Demos*-ი (ხალხი) და *Agora* (საჯაროობა), რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს დემოკრატიისათვის. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— ბევრი აღნიშნავს, რომ ევროკავშირი განიცდის დემოკრატიის დეფიციტს. დემოკრატიის პირობებში ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენელს, რომელიც შემდგომში უშუალოდ იქნება ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში. ევროკავშირშიც ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენელს, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე სრულყოფილი. არსებობს გეგმები, თუ როგორ უნდა გაიზარდოს ევროპარლამენტის როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რის შედეგადაც, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ სახეზე გვექნება *quasi* ორმაგი ლეგიტიმაცია: ერთი მხრივ, ქვეყანა ირჩევს თავისი მთავრობის წარმომადგენლებს ლეგიტიმურად, დემოკრატიული წესით, მეორე მხრივ კი, უკვე ევროკავშირის ინსტიტუციურ დონეზე, ევროპარლამენტში ევროპელი ხალხი მეორედ ირჩევს თავის ლეგიტიმურ წარმომადგენელს. ბევრი მიიჩნევს, რომ ევროპული საჯაროობისა და სრული დემოკრატიისათვის საჭიროა ნამდვილი ევროპული არჩევნები. ეს ნიშნავს იმას, რომ გვექნება საერთო ევროპული საარჩევნო კამპანია, ანუ კანდიდატებს აირჩევენ ევროკავშირის ნევრ თუ არაწევრ ქვეყნებში. ჯერჯერობით ჩვენ ამას ვერ მივაღწიეთ, თუმცა ამ გზას ვადგავართ. არსებობს უკვე პირველი ექსპერიმენტებიც, მაგალითად, ევროპარლამენტის გასული წლის არჩევნებზე მწვანეთა პარტიამ საერთო კანდიდატი წამოაყენა, როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთში.

— ევროკავშირი ახალგაზრდობას მსოფლიოს მასშტაბით სთავაზობს უამრავ პროექტს სწავლის გაგრძელების კუთხით, რაც ითვალისწინებს სტიპენდიების მოპოვებას, პრაქტიკებს. მონაწილეობენ თუ არა ქართველი ახალგაზრდები ამგვარ პროექტებში?

— ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში უკვე ქართველი სტუდენტებისთვისაც არის კარები ღია ევროპული სტიპენდიების მოსაპოვებლად. მაგალითად, *Erazmus Mundus*-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ევროპის უნივერსიტეტებში სასწავლებლად სტიპენდიებს გასცემს. მასში მონაწილეობის მიღება ქართველ სტუდენტებსაც შეუძლიათ. პროგრამა — *Tempus*-ი ითვალისწინებს, საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას. გარდა ამისა, არსებობს გაცვლითი პროგრამები სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლის მენეჯმენტსაც საქართველოში ევროკომისია ახორციელებს.

— როგორ ფიქრობთ, რითი შეიძლება იყოს საქართველო მიმზიდველი ქვეყანა ევროკავშირისთვის?

— ევროკავშირის ისტორიიდან გამომდინარე, ევროპა არ ირჩევს ქვეყანას, რომელიც მისი წევრი გახდება. მაგალითად, შვეიცარია არაჩვეულებრივი ქვეყანაა, მაგრამ ევროკავშირი მას გაწევრიანებას არ შესთავაზებს. წესისამებრ, ეს პირიქით ხდება. ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირს წარმატებულ მოდელად მიიჩნევენ, თავად ცდილობენ, შევიდნენ მის კავშირში.

— გერმანიამ გადაიბარა ევროსაბჭოს თავმჯდომარეობა, რაც დამთხვა მისი შექმნის 50 წლის იუბილეს. როგორ აღნიშნავს ამ თარიღს გერმანია და რა ახალ ინიციატივას სთავაზობს ის ევროკავშირს?

— ცოტა ხნის წინ, ბერლინში, დიდი ზეიმით აღინიშნა ევროკავშირის 50 წლისთავი, მიიღეს ევროპის დეკლარაცია და კიდევ ერთხელ დააფიქსირეს ერთიანი მიზნები — შეინარჩუნონ მშვიდობა, სტაბილურობა, კეთილდღეობა, სოციალური თანასწორობა, ტოლერანტობა, დაიცვან ადამიანის უფლებები და ა.შ. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ გვსურს ევროპის საუკეთესო მომავალი. ამისთვის, პირველ რიგში, თავად ჩვენს კავშირში უნდა განვახორციელოთ რეფორმები. 50 წლის მანძილზე მრავალი ისეთი სტრუქტურა შეიქმნა, რომელიც აღარ შეესაბამება 27 წევრი ქვეყნისგან შემდგარ ევროკავშირს, და საერთოდ, გლობალური მსოფლიოს საერთო მდგომარეობას. ამისთვის ყველაზე კარგი ინსტრუმენტი იქნებოდა ევროკავშირის კონსტიტუცია. გერმანია თავისი თავმჯდომარეობის პერიოდში იმუშავებს იმ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანობას ევროპის ქვეყნებს შორის, შევადგენთ გარკვეულ გეგმას, როდის და რა ეტაპებით შეეძლებთ ამ კონსტიტუციის წარმოდგენას და ა.შ. ვფიქრობთ, რომ 2009 წლისთვის გვექნება გარკვეული შედეგი. ჩვენთვის აქტუალურია თემა: თუ რა როლს შეასრულებს ევროკავშირი აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონში. გვინდა, ივნისში ევროპის საბჭოში წამოვაყენოთ წინადადება, რომ შეიქმნას უფრო მჭიდრო ურთიერთობა ევროკავშირსა და შავი ზღვის რეგიონს შორის. ეს, რა თქმა უნდა, სარგებელს მოუტანს საქართველოსაც. ასევე ვცდილობთ, ვიპოვოთ გზები, რათა შემდგომში გავაფართოოთ და ინტენსიური გავხადოთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა. მაგალითად, საქართველოს, სხვა ქვეყნების მსგავსად, მიეცეს ეკონომიკური შანსები, რომ უფრო იოლად შეეძლოს ევროპის ბაზარზე გასვლა და დამკვიდრება.

მინდა შევეხო კიდევ ერთი მნიშვნელოვან თემას — ენერგეტიკას. ევროკავშირმა სწორედ გერმანიის თავჯდომარეობის პერიოდში, 2007 წლის მარტში, ევროკავშირში ენერგეტიკასთან დაკავშირებით წარადგინა პირველი სამოქმედო გეგმა, სადაც ერთერთ მნიშვნელოვან საკითხს ენერგომომწოდებელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავება წარმოადგენს. გვსურს, რომ ენერგომოწოდება ტრანსფარენტულად და სამართლიანად განხორციელდეს.

— დღეს აქტუალურია ევროკავშირის „დიდი გაფართოების" თემა. მწვავე საჯარო დისკუსიები გამოიწვია აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების (თურქეთი) ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანების საკითხმა. რა პოზიცია აქვს გერმანიას ამასთან დაკავშირებით? შეიძლება თუ არა ამ გარემოებამ შეაფერხოს საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნის შესვლა ევროკავშირში?

— ბოლო წლებში ევროკავშირი საკმაოდ გაიზარდა. მან თავის კავშირში 12 ახალი წევრი ქვეყანა მიიღო და „დიდი გაფართოების" შედეგად ევროპის ქვეყნები (ხალხი და არა მთავრობა), ერთგვარად, თითქოსდა „დაიღალნენ“. ბუნებრივია, ადამიანებს ებადებათ კითხვები: — რა იქნება ევროკავშირის კიდევ უფრო გაფართოების შემთხვევაში? ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტი ფული უნდა გავიღოთ ახალი წევრი ქვეყნებისთვის? შეიძლება დავკარგოთ ჩვენი გავლენა გადაწყვეტილებების მიღებაზე? არსებობს თუ არა ევროკავშირში საზღვრები? აქედან გამომდინარე, ამჟამად არ არის იმის დრო, როდესაც შეიძლება ვისაუბროთ გაფართოებაზე. ევროკავშირმა და მისმა მოსახლეობამ ჯერ უნდა შეაფასოს ის, რაც დღემდე განხორციელდა, ხოლო შემდგომ გაფართოებაზე ფიქრს მომავალი გვიკარნახებს.

როდის გაწევრიანდება საქართველო ევროკავშირში? — ამ კითხვაზე გერმანიის ელჩს პასუხი ჯერ არ აქვს

9 მაისი ევროპის დღეა. 1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობენ შუმანი პარიზში გამოვიდა განცხადებით და წამოაყენა ევროპული ინტეგრაციის იდეა. ამიტომ 9 მაისი აღინიშნება როგორც ევროკავშირის დაბადების დღე. იდეის განხორციელება დაიწყო 1951 წელს, როდესაც შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება 6 ქვეყნის (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდი, ბელგია, ლუქსემბურგი) მონაწილეობით. დღეისათვის ევროპის კავშირი 27 ქვეყანას აერთიანებს. სხვა წყაროების თანახმად, ევროპის გაერთიანების დღედ 5 მაისსაც თვლიან, ვინაიდან 1949 წლის 5 მაისს ლონდონში ხელი მოეწერა ევროპის საბჭოს წესდებას. იგი ძალაში შევიდა იმავე წლის 3 აგვისტოს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის თემაზე აქტიურად აწყობს კონფერენციებსა თუ შეხვედრებს და ამით გამოხატავს ქვეყანაში ამ კუთხით მიმდინარე პროცესების მიმართ მხარდაჭერას.

ევროკავშირი, რომელმაც ცოტა ხნის წინ დაარსებიდან 50 წლისთავი იზეიმა, თანამედროვე მსოფლიოში თავისთავად საინტერესო ფენომენია — კონტინენტი, რომელიც ცნობილი იყო ომის კონტინენტად, დღეს მშვიდობის მთავარი მესაჭე გახდა თავისი 27 ქვეყნით, ერთიანი ევროპული ინტერესებით და სრულიად ახალი კონცეფციებით.

ევროკავშირში შემავალი 27 ქვეყნის გარდა კიდევ არის გრძელი რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ევროპაში ინტეგრაციას ელიან. მათ შორის არის საქართველოც.

ევროკავშირის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პატრიცია ფლორი ეწვია და სტუდენტებისთვის მოხსენება წაიკითხა. სტუდენტების განსაკუთრებული ინტერესი საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებმა გამოიწვია.

გერმანელი დიპლომატის თქმით, ის ფაქტორი, რომ ევროკავშირს ამჟამად გერმანია თავმჯდომარეობს, საქართველოს შეუძლია ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ევროინტეგრაციის პროცესში, რადგანაც გერმანია საქართველოს მიმართ ერთერთი ყველაზე კეთილგანწყობილი ქვეყანაა.

პატრიცია ფლორი: **„გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებით, უახლოესი ორი თვის განმავლობაში უნდა გაღრმავდეს კავშირები შავი ზღვის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის. ეს უნდა მოხდეს დაახლოებით იმ პერიოდში, როცა გერმანია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა იქნება. უფრო კონკრეტულად, თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და ენერგომომარაგების სფეროში. ვფიქრობ, საქართველოსთვის ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა“.**

პატრიცია ფლორის თქმით, ბევრ შეკითხვაზე, რაც ამჟამად ქართველ ხალხს აღელვებს, ზუსტად პასუხობს ევროკავშირის დევიზი: მრავალფეროვნება, მაგრამ მჭიდრო ურთიერთკავშირები. ევროკავშირში გაწევრიანებული 27 ქვეყანა ეს არის სხვადასხვა რელიგიური, კულტურული და ენობრივად განსხვავებული საზოგადოებები. საქართველო შეიძლება ევროკავშირს შევადაროთ იმით, რომ ასევე მრავალფეროვანი რელიგიური კონფესიების, ენებისა და ეთნოსების შემადგენელი ქვეყანაა.

ისტორიული ექსკურსი

ევროპის გაერთიანების იდეა 1945-1957 წლებში ჩამოყალიბდა. იდეა ვერ განხორციელდებოდა, თუ არა საფრანგეთისა და გერმანიის, ამ ორი მთავარი მოწინააღმდეგის შერიგება და შეგუება იმ აზრთან, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა სულ სხვა საფუძველზე უნდა აშენებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ბევრი პოზიტიური ძვრები, ევროპის გაერთიანებას ხელს უშლიდა ნეგატიური ფაქტორები, მაგალითად — გერმანიის ორ ნაწილად გაყოფა. გარდა ამისა, ქვეყნების დიდი ნაწილი რკინის ფარდის მიღმა იმყოფებოდა და მათთვის ეს იდეა ხელმისაწვდომი არ იყო.

1957 წელს რომში ხელი მოეწერა ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რითაც, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა პოლიტიკური კავშირების გაფართოებასაც. ევროპული ეკონომიკური კავშირი დაეფუძნა ისეთ ევროპულ ღირებულებებს, როგორიცაა ტოლერანტობა, დემოკრატია, ერთა სიახლოვე.

ევროკავშირის გაერთიანების ისტორიაში მეორე ფაზა შინაგანი კონსოლიდირების ფაზაა. ეს პერიოდი დასრულდა რკინის ფარდის „ჩამოხსნით“. პირველი ევროპული პარლამენტის არჩევიდან (1979 წ.) იწყება ევროკავშირის გაფართოება, რასაც მოჰყვა დიდი ნახტომი — შენგენის ხელშეკრულების ხელმოწერა (1985 წ.). ამ ხელშეკრულებით გაერთიანებულმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, გაეხსნათ საზღვრები. საზღვრების გაუქმებამ ხალხთა შორის განსაკუთრებული სიახლოვის გრძნობა დაბადა.

1989 წელს, როდესაც სხვადასხვა ქვეყნების საყოველთაო გაერთიანება მოხდა, ევროკავშირი ევროპაში სტაბილურობის გარანტად იყო მიჩნეული. სწორედ ამ პერიოდში ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობიდან საბოლოოდ მივიღეთ ევროპის პოლიტიკური კავშირი.

1992 წელს მაასტრიხტის პროგრამით შემოვიდა ევროპის მოქალაქეობის ცნება.

დღესდღეობით ევროკავშირი აერთიანებს 500 მილიონამდე ადამიანს. ევროკავშირი ეს არის უდიდესი შიდა ბაზარი და, ამავე დროს, მშვიდობის, სტაბილურობის, კეთილდღეობის გარანტი ევროპაში.

გერმანელი დიპლომატის აზრით, ევროკავშირში რეფორმები კვლავაც საჭიროა. განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ევროპული პარლამენტის როლი. მისაღებია ევროკავშირის ახალი კონსტიტუცია და საჭიროა ევროკავშირის კიდევ უფრო გაფართოება, როცა ახალი წევრი სახელმწიფოები ევროკავშირში ახალი გამოცდილებით, კულტურით და იდეებით შევლენ.

სტუდენტების შეკითხვაზე — როდის გაწევრიანდება საქართველო ევროკავშირში? — პატრიცია ფლორი აღნიშნავს: **„სამწუხაროდ, გაურკვეველი პასუხი უნდა გავცეთ — არ ვიცი, როდის მოხდება ეს... მაგრამ ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლში წერია, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება, განაცხადი შეიტანოს ევროკავშირის წევრად მიღებაზე. ევროკავშირში შესვლაზე განაცხადი, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია გარკვეულ წინაპირობებთან. ქვეყანაში განვითარებული უნდა იყოს ევროპისათვის მნიშვნელოვანი და უმთავრესი ღირებულებები, როგორიცაა — დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები და, ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობა. ამას ემატება საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მზადყოფნა, რომ საქართველო ეროვნულ სახელმწიფოში გადმოიღებს იმ ძირითად პრინციპებს, რაც ევროკავშირშია დამკვიდრებული“.**

ამ ეტაპზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებობს 2006 წელს ხელმოწერილი დოკუმენტი, რითაც განისაზღვრა სხვადასხვა ფუნქციები, სურვილები, მიმართულებები და გარკვეული დირექტივებიც კი. მაგალითად, მეცნიერების სფეროში მოღვაწე ადამიანებისათვის ევროკავშირის ფარგლებში ვიზები მოსაკრებლების გარეშე გაიცემა.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ამერიკას ესმის, რით არის განპირობებული ჩვენი შეცდომები

ამერიკათმცოდნეობის კონფერენცია უნივერსიტეტში

3-5 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ამერიკათმცოდნეობის მეცხრე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ამერიკულ-ქართული ურთიერთობები: ისტორია და თანამედროვეობა.“

ნათუნა ნატიაშვილი

კონფერენციაზე, რომელიც ამერიკის შესწავლის ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორ ვასილ კაჭარავას ხელმძღვანელობით გაიხსნა, აუდიტორიის წინაშე თემატური მოსაზრებებითა და შეფასებებით წარდგნენ: აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი, სახელმწიფო კანცელარიის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ამერიკანისტი ირაკლი მაჩიტიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის წევრი, სრული პროფესორი, გუგული მაღრაძე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამეცნიერო კვლევითი მოხსენებები წაიკითხეს — აშშ-ს საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა როვენა ქროს ნაჯაფიმ თემაზე: „ფელიქს ვილობი სმიტი: აშშ-ს პირველი დიპლომატი საქართველოში“ და პროფესორმა ალექსანდრე რონდელმა თემაზე: „გრძელდება თუ არა აშშ-ის საუკუნე?“

კონფერენციის ფარგლებში 170-ზე მეტმა ქართველმა და ამერიკელმა მომხსენებელმა წარმოადგინა საკუთარი ნაშრომები, რომლებშიც განხილულია ამერიკანისტიკის სხვადასხვა სფერო, მათ შორის, ისტორია, პოლიტიკა, ხელოვნება, ლიტერატურა, ეკონომიკა, სამართალი, განათლება, ჟურნალისტიკა, არქიტექტურა, ჯანმრთელობის დაცვა, იდეოლოგია.

როგორც საქართველოში ამერიკის ელჩმა ჯონ ტეფტმა კონფერენციაზე განაცხადა, აშშ-ში დემოკრატ და რესპუბლიკელ ლიდერებს შორის საქართველო ყოველთვის კეთილგანწყობით სარგებლობდა, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრენი იყვნენ. 1991 წლიდან დღემდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დახმარების სახით 1,7 მილიარდი დოლარი გამოუყო.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ამერიკის მხრიდან საქართველოსადმი დახმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ხშირად მაოცებს მხარდაჭერის ინტენსივობა იმ პროგრამებისადმი, რომელიც ხორციელდება საქართველოში რეფორმების თვალსაზრისით. აშშ ხელს უწყობს ორმხრივ ინტერესს უსაფრთხოების დამკვიდრებაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, ვეხმარებით ჩატარდეს წვრთნა ამერიკული სამხედრო განათლების პროგრამის მიხედვით.

ამჟამად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იმყოფება 74 მშვიდობის კორპუსის მოხალისე, რომლებიც ხელს უწყობენ ინგლისური ენის უკეთ სწავლებას. საქართველოში დაფუძნებულია ამერიკათმცოდნეობის 4 ცენტრი, იხსნება და მრავლდება ამერიკული კუთხეები, რომლის მეშვეობითაც ხდება ამერიკული კულტურის გაცნობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ის წარმატებით მიმდინარეობს: **თბილისში, თელავში, ხაშურში, გორში, ზუგდიდში. ეს მიზნები არის მთავარი ქვაკუთხედი, რომლის მნიშვნელობასაც ემსახურება საქართველოში ამერიკული პროგრამების განხორციელება,“** — განაცხადა ელჩმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა პეტრე მამრაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ამერიკის დახმარების გარეშე საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვერ იარსებებდა. **„მახსოვს, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა 1998 წლის შემოდგომაზე დაურეკა საქართველოს პრეზიდენტს და კატეგორიულად მოსთხოვა, რომ საქართველო გამხდარიყო რუსეთის ჯარების პლაცდარმი ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების საწარმოებლად. ამ თემაზე ვესაუბრე ამერიკის მაშინდელ ელჩს, რომელიც სწორედ იმ დროს სტამბულიდან აშშ-ში მიემგზავრებოდა. მან მოაბრუნა თვითმფრინავი, ჩამოვიდა თბილისში და გააკეთა საგანგებო განცხადება, რის შემდეგაც რუსეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი იძულებული გახდა, განზრახვაზე ხელი აეღო.“** — გაიხსენა ახლო წარსული პეტრე მამრაძემ. მისი თქმით, ამერიკელებს ესმით, რომ საქართველოს მხრიდან დაშვებული შეცდომები განპირობებულია საუკუნეების განმავლობაში საკუთარი სახელმწიფოს არქონით და განსაკუთრებით, ტოტალიტარული კონფლიქტური რეჟიმის 70-წლიანი ბატონობით.

გუგული მაღრაძის განმარტებით, ამერიკანისტიკის მე-9 კონფერენციის ჩატარება მიუთითებს, რომ საქართველოში ამერიკანისტიკა არის დარგი, რომელსაც სერიოზულად განიხილავენ ქართველი მეცნიერები, მკვლევარები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები და ეს არ დაწყებულა მხოლოდ 1991 წლიდან. ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერებმა თავის დროზე ამერიკანისტიკა აირჩიეს კვლევის ობიექტად და ეს არ არის მხოლოდ ცნობისმოყვარეობის საგანი. იმ ადამიანებმა, ვინც აშშ-ში მიიღო განათლება და ჰქონდა კვლევის საშუალება, სერიოზული საფუძველი შექმნეს საიმისოდ, რომ დღეს საქართველო პოსტსაბჭოთა რეგიონში მოწინავეა სწორედ იმ ღირებულებების განვითარებისა და ერთგულების მხრივ, რაც დასავლური ცივილიზებული საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. **„ამერიკის შესწავლის სფეროს გაფართოება მიუთითებს, რომ სახელმწიფოს განვითარება დემოკრატიული გზით მიმდინარეობს. წლების განმავლობაში, ამ მიმართულებით დაგროვებული ცოდნა მაძლევს იმედს, რომ თამამად შევძლებთ გავიმეოროთ ერთერთი ამერიკელი დემოკრატის სიტყვები: ის, რაც ზნეობრივად მცდარია, პოლიტიკურად ვერასდროს ვერ იქნება მართებული“.** — აღნიშნა გუგული მაღრაძემ.

როდის და რატომ დაირღვა საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები?

აშშ-ს საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის როვენა ქროს ნაჯაფის მიერ მომზადებული კვლევის მასალები, რომელიც საქართველოში პირველი აკრედიტირებული ამერიკელი დიპლომატის ფელიქს ვილობი სმიტის მოღვაწეობას ეხება, თანამედროვე რეალობისგან რადიკალურად განსხვავებულია და საქართველოსადმი ამერიკული განწყობის იმ ნეგატიურ დეტალებს წარმოადგენს, რომელიც, მკვლევარის განმარტებით, ქართული საარქივო წყაროების საფუძველზე დასტურდება. აკაკი რამიშვილის წიგნის — „ჩვენი შეცდომები“ (1918-1921 წლები), ავთანდილ მენთეშაშვილის „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობები საბჭოთა რუსეთთან და ანტანტის ქვეყნებთან“ (1918-1921 წლები), საქართველოს ეროვნული არქივიდან მოპოვებული მასალებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის საარქივო დოკუმენტების — „აშშ-ს საგარეო ურთიერთობები 1861-1960 წლებში“ მასალებიდან ირკვევა, რომ 1914 წლიდან თბილისში ფუნქციონირებდა ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულო და მას ფელიქს ვილობი სმიტი მართავდა. სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტები მიუთითებს, რომ ის ოფიციალურად თბილისში მოღვაწეობდა დაახლოებით 1916-იდან 1918 წლის მაისის ჩათვლით. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, გასაგები ხდება, რომ სმიტი რეგიონში მიმდინარე მოვლენებში აქტიურ როლს ასრულებდა. დღევანდელი ამერიკელი დიპლომატებისგან განსხვავებით, სმიტი არ იყო საქართველოს დამოუკიდებლობის ადვოკატი. რუსეთის რევოლუციის დროს იგი მხარს უჭერდა ამიერკავკასიის ფედერაციის განვითარებას და ცდილობდა მის დაცვას 1919 წლის მაისამდე, ვიდრე ფედერაცია დაიშლებოდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა თურქების შემოსევის წინააღმდეგ ამიერკავკასიის თავდაცვით სამუშაოებში, რაც იმ დროისთვის საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა.

წყაროებში აღნიშნულია, რომ საქართველოს ახლად დანიშნულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა, ისტორიაში უცნობი მიზეზების გამო, დაარღვია დიპლომატიური შეთანხმება და გახსნა ამერიკული დიპლომატიური ფოსტა, რაც ამერიკელ დიპლომატს არ მოეწონა. ამის შემდეგ საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დაირღვა და სმიტმა საქართველოს მთავრობას ფსევდომთავრობა უწოდა, ხოლო ამერიკელ ბიზნესმენებს, რომლებსაც საქართველოში საქმიანობა სურდათ, ამ ქვეყნის დატოვება ურჩია.

ამერიკის საქართველოსადმი ნდობის დაკარგვაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მან 4 თვის განმავლობაში, 1919 წლის თებერვლიდან აპრილამდე საქართველოდან ამერიკის სახელმწიფო მდივანს გაუგზავნა კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ხუთი ანგარიში, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებიდან ცოტა ხნის შემდეგ, არც ერთი ანგარიში აღარ გაუგზავნია. ამავე წლის ოქტომბერში საქართველოს დელეგაციამ, რომელიც იმყოფებოდა უცხოეთში, რათა საერთაშორისო საზოგადოებისათვის ეცნობებინა საქართველოს დემოკრატიულობის, თავისუფლებისა და თვითმყოფადობისკენ სწრაფვის შესახებ, მიმართა ამერიკელი დიპლომატების ჯგუფს და თხოვა, რომ მშვიდობის კონფერენციაზე განხილულიყო საქართველოს საკითხი. ცნობილი გახდა, რომ საქართველომ ამერიკიდან მიიღო პირველადი დამტკიცება 25 მილიონი დოლარის ოდენობის სესხზე, თუმცა არ მოიპოვება მასალები იმის შესახებ, რომ ეს სესხი საბოლოო ჯამში გაიცა.

აღმოჩენილია, რომ სმიტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმ გეგმის ჩაშლაში, რომელიც სამხრეთ საქართველოს ნაწილის სომხეთისთვის გადაცემას ეხებოდა, ამავდროულად მხარს უჭერდა ამიერკავკასიის სამივე ქვეყნისთვის ბათუმში თავისუფალი პორტის შექმნას. ამ პერიოდის ამერიკის მისიის ოფიციალურ ანგარიშში წერია, რომ „საქართველო არის ანარქისტული ქვეყანა, რომელიც სავსეა ბანდიტებით“.

1919 წლის აპრილში აშშ-დან საქართველოში გამოგზავნეს სამხედრო მისია, რომელსაც ადგილზე მიმდინარე პროცესები უნდა შეესწავლა. ამ მისიის ანგარიშში ერთერთი გენერალი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უძლურს და კორუფციის ჭაობს უწოდებს. ეს განაცხადი გასაკვირი არ არის, რადგან ამ სამხედრო მისიის ყველა მონაწილე საქართველოში ვიზიტად ყოფნისას გაქურდეს. ცოტა ხანში სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში ამერიკული სამხედრო მისია დახურა. ეს ფაქტი საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისთვის ძალიან დიდი დარტყმა იყო.

დოკუმენტების მიხედვით, 1920 წლის იანვარში სმიტი გარდაიცვალა. 1921 წლის 25 იანვარს ბოლშევიკების აგრესიის ფონზე მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ: საფრანგეთმა, ბრიტანეთმა, იაპონიამ და იტალიამ კიდევ ერთხელ აღიარა, რომ საქართველოს აქვს უფლება, იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ის ერთი ქვეყანა, რომელმაც თანხმობა არ განაცხადა, იყო ამერიკის შეერთებული შტატები.

არსებობს ამ დროის ერთერთი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის ცნობილი გამოთქმა: „ის, ვინც ისტორიიდან ვერ სწავლობს, ამ შეცდომებს ისევ გაიმეორებს“. როვენა ქროს ნაჯაფის განცხადებით, ამერიკელებმა საკუთარ შეცდომაზე ძალიან ბევრი ისწავლეს. ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ აუცილებელია დიპლომატიური მისიის ხელშეუხებლობის და უსაფრთხოების გათვალისწინება. მომავალში ამ გზით უნდა გაგრძელდეს პროფესიული ურთიერთობები, რომელიც ორ ქვეყანას შორის ამ დროისთვის უკვე არსებობს.

„გრძელდება თუ არა აშშ-ს საუკუნე?“

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში ამერიკელმა სენატორმა ბერლისმა განაცხადა, რომ მეოცე საუკუნე ამერიკის საუკუნე იქნებოდა. ეს სიტყვები შემდგომში მოარულ შეხედულებად და ნაწილობრივ ქილიკის საგანიც გახდა. მეოცე საუკუნე მოიცავს ორ მსოფლიო ომს, კომუნიზმს, ფაშიზმს და ყველა ამ პრობლემის მოგვარებაში ამერიკის შეერთებული შტატები დადებით, კონსტრუქციულ და თითქმის გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ფაშიზმისა და კომუნიზმის დამარცხებაში აშშ-ს როლი ნათელი და საყურადღებოა, რომ გასულ საუკუნეში მორალური ლიდერობა აშშ-ის პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა. საკითხავია, ამჟამად რჩება თუ არა ის ჰეგემონად?

როგორც **ალექსანდრე რონდელმა** კონფერენციაზე აღნიშნა, ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რადგან, თავის მხრივ, ამერიკის მომავალი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას განსაზღვრავს. დემოკრატიული მშვიდობის თეორია, რომელსაც აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ემყარება, ადასტურებს, რომ რაც მეტია დემოკრატიული სახელმწიფო, მით უკეთესია მსოფლიოსა და აშშ-სთვის, რადგან ჭეშმარიტი დემოკრატიები ერომანეთს არ ეომებიან. **„ჯერჯერობით, ევროპის უსაფრთხოების ქოლგა ნატოა, ის კი უმთავრესად ამერიკაა, თუნდაც სამხედრო ხარჯებისა და სამხედრო ძლიერების გათვალისწინებით. აშშ-ს ეკონომიკური ძლიერება ჯერ კიდევ მიუწვდომელია სხვებისთვის, მას ბადალი არ ჰყავს არც ტექნოლოგიური დინამიკის თვალსაზრისით. ეს ყველაფერი განუმეორებელ შესაძლებლობებს ქმნის, საიმისოდ, რომ დაიბრუნოს საყოველთაო ნდობა და სიმპათიები. აშშ-ს დაჭირდება დრო და ძლიერი ხელმძღვანელობა, რომელიც სახელმწიფოს და გლობალურ ინტერესებს ერთმანეთს შეუხამებს“,** — აღნიშნა რონდელმა.

„ვიდრე ნატოში შევალთ, რუსეთს უნდა გავუძლოთ“

ვახტანგ რჩეულიშვილის პოლიტიკური ინტერესების სფერო ყოველთვის იყო საქართველო-რუსეთისა და საქართველო-ამერიკის ურთიერთობის შესწავლა, რაც სამეცნიერო ინტერესებშიც აისახა. პოლიტოლოგს კვლავ სჯერა, რომ საქართველოსთვის რუსეთთან თანამშრომლობის გაგრძელებას დიდი პერსპექტივა აქვს. ამერიკა-საბჭოთა კავშირის დაპირისპირების პერიოდშიც კი მოქმედებდნენ მთელი რიგი ინსტიტუტები, რომელშიც თანამშრომლობდნენ რუსი და ამერიკელი მეცნიერები.

„უნდა ვისწავლოთ, როგორ არ გადავიდეს დაპირისპირების მდგომარეობა ნამდვილ ომში და მივეჩვიოთ ამ კონფრონტაციის პირობებში არსებობას. წარმოუდგენელია, რუსეთსა და ამერიკას შორის დამყარდეს მშვიდობა, ვიდრე რუსეთს დიდი ქვეყნის პრეტენზიები აქვს. საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, რომელი ცივილიზაციის შვილია და რა გავაკეთოთ, რომ უსაფრთხო ზონად გადავიქცეთ. რაც უნდა რთული იყოს, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი იბრძვის თავისი იმპერიის შესანარჩუნებლად და ის ეპაექრება ამერიკას. საქართველო არის მცირე ქვეყანა, რომელიც ამ დაპირისპირებაში ამინდს არ ქმნის და შევირგოთ ის ფუნქციები, რომელიც გვაკისრია“, — განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა, რომელსაც მიაჩნია, რომ ვიდრე საქართველო ნატოში შევა, უნდა გაუძლოს რუსეთს და გაუგზავნოს მესიჯი, რომ მასთან კონფრონტაციის მომხრეები ნატოშიც არ ვიქნებით.

ნებისმიერი დიალოგი სჯობს

პირველი გვერდიდან

ქრისტიანული საქართველო 12 მაისს საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის დამაარსებლის, წმიდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს აღნიშნავს.

ისტორიოგრაფიაში მინიშნებულია, რომ მაცხოვრის მოძღვრებას ქართველი ხალხი ეზიარა I საუკუნეში წილისყრით, რომელსაც უნდა გაერკვია, ქრისტეს სჯულს რომელი მოციქული რომელ ქვეყანაში იქადაგებდა. საქართველო წილად ხვდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს. მაცხოვრის ნებით, ღვთისმშობელი იერუსალიმს დარჩა, საქართველოში კი გამოემგზავრა წმიდა ანდრია პირველწოდებული, რომელსაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა. წმიდა მოციქული ანდრია მოდიოდა იმ ქვეყანაში, რომელიც ინახავდა ძველი აღთქმის დიდ საუნჯეს — წინასწარმეტყველ ელიას ხალეს, რომელიც აქ ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილმა ებრაელებმა ჩამოიტანეს და ასევე ქრისტიანობის უდიდეს სიწმინდეს — მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს უკერავ კვართს, რომელიც ჯვარცმის მოწმე ებრაელმა ელიოზმა ქართლის დედაქალაქ მცხეთაში ჩამოიტანა.

მოციქულმა ანდრიამ იქადაგა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნის 38 წელს ის შემობრძანდა მაღალმთიანი აჭარის სოფელ დიდაჭარაში, სადაც პირველი ტაძარი ააგო. ამ ფაქტს ადასტურებს როგორც სხვადასხვა ქართული ქრონიკა, ასევე ბერძენი და ლათინი საეკლესიო ავტორები: ორიგენე (II — III ს.ს.), დოროთე ტირელი ეპისკოპოსი (IV ს.), ეპიფანე კვიპროსელი ეპისკოპოსი (IV ს.), ნიკიტა პაფლაგონელი (IX ს.), ეკუმენი (X ს.) და სხვ.

საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით, წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღესთან დაკავშირებით, 28-30 აპრილს დიდაჭარაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართველ მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა.

კონფერენციაზე გამომსვლელებმა ანდრია პირველწოდებულის მიერ დიდაჭარაში პირველი ეკლესიის აგების მნიშვნელობაზე ისაუბრეს: **„ამ სოფლიდან დაიწყო საქართველოს ქრისტეს რჯულზე მოქცევა, აქ ჩატარდა პირველად წირვა ქართულად და იკურთხა პირველი სამღვდელოება. ამიტომ ამბობს საქართველოს პატრიარქი და საქართველოს დედაეკლესია, რომ საქართველოს ქრისტიანული ცხოვრება, ქრისტიანული საქართველო იწყება დიდაჭარიდან“**, — განაცხადა სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე სპირიდონმა თავის გამოსვლაში.

სხვადასხვა რელიგიის ადამიანებს შორის დიალოგის დაწყებაში დიდი დამსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მიხეილ ქურდიანს მიუძღვის, რომელმაც თავისი გამოსვლით კონფერენციის მონაწილეთა „ერთსულოვნების მოდელი" შექმნა. ერთსულოვნებისთვის კი, პირველ რიგში, სხვისი რწმენის პატივისცემაა აუცილებელი.

ჩვენ ბედნიერ რეგიონში ვცხოვრობთ — კავკასიაში არასოდეს ყოფილა რელიგიური ომები

მიხეილ ქურდიანი, გელათის აკადემიის პრეზიდენტი, თსუ პროფესორი:

— ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ საოცარ რეგიონში. სადაც პრეისტორიული ხანიდან, ჩრდილოეთიდან ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენამდე, რაც ჩვენთვის ცნობილია, არ ყოფილა არანაირი რელიგიური ომი და კონფლიქტი. კავკასია, მაშინდელი გაგებით, ხანდახან დიდი მსოფლიო ომების არენა იყო, მაგრამ ყველა ეს ომი, გამონაკლისის გარეშე, იყო პოლიტიკური და არა რელიგიური. საოცარია, რომ ეს გაგრძელდა იმის შემდეგაც, რაც საქართველო ქრისტიანული სახელმწიფო გახდა, ხოლო გარშემო მუსლიმანურმა ქვეყნებმა მოიკიდეს ფეხი. ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა, რატომ არ გაჩაღდა აქ რელიგიური ომი, თუ არ გავიხსენებთ თემურ ლენგს, რომლისთვისაც კავკასია კი არ იყო პრობლემა, არამედ იგი ზოგადად აწარმოებდა ომებს ისლამის გასაავრცელებლად. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია რამდენიმე ძალიან სერიოზულ პრობლემას მივაქციოთ ყურადღება.

ჩვენს გვერდით იყო ცეცხლთაყვანისმცემლური ირანი, რომელიც თავის ტერიტორიებს აფართოებდა, მაგრამ საქართველოს ყოველთვის არაირანულ ქვეყნად მიიჩნევდა და თავის საზღვრებში მის მოქცევას არ აპირებდა. მას უნდოდა ჩვენზე გავლენა ჰქონოდა, მაგრამ ეს პოლიტიკური მცდელობა იყო და არა რელიგიური.

რელიგიური ომი არ მომხდარა მას შემდეგაც, რაც ირანი მუსლიმანური ქვეყანა გახდა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ქრისტიანობის შემოღების შემდეგ, მანამდე არსებული პოლითეისტური ანტიკური რელიგიები ერთმანეთს რატომ არ ეომებოდნენ? მართალია, შემდგომ პერიოდში კი გაჩნდა ასეთი ომები, მაგრამ ჩვენს რეგიონში — არა. რაში იყო საიდუმლო? ისტორიული მოვლენების მიმოხილვა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, დავამტკიცოთ, რომ ამ მშვიდობაში ერთნაირად მიუძღოდათ წვლილი როგორც ქრისტიანებს, ასევე ცეცხლთაყვანისმცემლებს და, შემდეგ, მუსლიმანებს.

საფრთხე, რომელიც ახლა მოდის, ვერ შეედრება იმას, რაც ადრე იყო და რასაც ტრადიციული ისლამი ერქვა. ცნობილია, რომ ტრადიციული ისლამი საოცრად შემწყნარებლური რელიგია გახლდათ და ვრცელდებოდა იმ ტერიტორიებზე, რომელზეც მანამდე ქრისტიანები და იუდეველები ცხოვრობდნენ. ამიტომ აუცილებელი იყო, ხალიფას ეზრუნა თავის მოქალაქეებზე, განურჩევლად მათი სარწმუნოებისა. მაშინ პირველად ჩამოყალიბდა ისლამის ის ფორმა, რომელიც ცდილობდა თავისი სწავლების გავრცელებას ისე, რომ არ დაენგრია არცერთი ტაძარი, რომელიც აშენებული იყო მუჰამედის გამოჩენამდე. VII საუკუნემდე თუ შენ ტაძარი გქონდა აშენებული, ისლამი მას არა თუ არ დაანგრევდა, არამედ ფულსაც მოგცემდა მის შესაკეთებლად, რადგან მუჰამედის გამოჩენამდე ყველა რელიგია წმინდად ითვლებოდა.

ხანდახან წაიკითხავთ: შემოცვივდნენ არაბები, დაანგრიეს ქართული ტაძრები და ა.შ, რაც არ არის სწორი, რადგან ნებისმიერი არაბი, ვინც დაანგრევდა VII საუკუნემდე აშენებულ ქრისტიანულ ტაძარს, განწირული იყო იმისთვის, რომ მისთვის საჯაროდ მოეკვეთათ თავი.

ამას ვლაპარაკობ იმიტომ, რომ დღეს დგას ჯვრის მონასტრის პრობლემა, რომელიც, სამწუხაროდ, ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს. თუ თქვენ დაინტერესდებით და გადაშლით ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას, წაიკითხავთ, თითქოს ჯვრის მონასტერი აგებულია XI საუკუნის II ნახევარში. ეს არის ქართველი ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ოფიციალური აზრი. ბუნებრივია, ჩვენ ბერძნები ჯვრის მონასტერს არასოდეს დაგვიბრუნებენ, იმიტომ, რომ ისინი სვამენ კითხვას — ქრისტიანებმა იერუსალიმი 1099 წელს აიღეს. ვინ აგაშენებინათ თქვენ XI საუკუნის II ნახევარში ტაძარი — მუსლიმანებმა? ეს ხომ გამორიცხული იყო. მაშასადამე, ჩვენ კი არ ავაშენეთ, არამედ აღვადგინეთ და გავარემონტეთ ის, წინა ტაძარი, რომელიც VII საუკუნემდე იყო აშენებული. და თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ჯვრის მონასტერი XI საუკუნის II ნახევარში, ანუ, მუსლიმანთა ბატონობის დროს აიგო, მაშინ ის წინა ტაძარი, ჩვენი აშენებული არ არის, ის ბერძნების ტაძარია. აი, ამ დღეში ჩაგვაგდო იმ მეცნიერების ოფიციალურმა „საბუთმა“, რომელთაც არაფერზე აიღეს პასუხისმგებლობა. თუმცა სანდო წყაროებით მტკიცდება, რომ ეს ტერიტორია ეკლესიის ასაშენებლად IV საუკუნეში ქართველებს კონსტანტინე დიდმა მისცა და ეკლესიაც IV საუკუნეში ავაშენეთ. სწორედ ეს ეკლესია გარემონტდა XI საუკუნის II ნახევარში.

და ახლა ვის ვედავებით? რატომ ვედავებით? განა ბერძნები არიან დამნაშავენი იმაში, რომ ჩვენ არ ვიცით ჩვენი ისტორია?

ვიმეორებ — ისლამს ყველგან ჰქონდა ჯიჰადი, მაგრამ კავკასიაში ეს არ მოხერხდა. აი, საიდუმლო რაში მდგომარეობს — საქართველოს გარშემო სუფიური ქვეყნები იყვნენ, ანუ ის ქვეყნები, რომლებიც ნეოპლატონიზმს აღიარებდნენ. ნეოპლატონიზმი კი მაშინ ქრისტიანული მსოფლმხედველობის და სუფიზმის საერთო საფუძველი იყო. უდიდესი სუფი პოეტი აბუ საიდი X საუკუნეში წერდა:

***

„იუდეველნიც, ქრისტიანნიც
შენზე კვნესიან,
შენზე ღაღადებს სინაგოგა და
ეკლესია,
სატერპეებში წარმართებიც შენ
გიგალობენ,
ერთადერთი ხარ, ვისი ხილვაც
უამესია.“

***

„შენსკენ ყველა გზა ვარგა თუკი
არ დაჰკარგვიათ,
შენ სახილველად ყველას ყველა
ხერხი არგია,
რომელ თვალითაც გიხილავენ,
კარგია ყველა,
რომელ ენაზეც გახსენებენ,
ყველა კარგია.“

მიაქციეთ ყურადღება: კლასიკური ისლამი ამბობს — „არ გაბედო უფლის სახელის ხსენება არაბულის გარდა სხვა ენაზე“. აბუ საიდი კი ამბობს — „რომელ ენაზეც გახსენებენ, ყველა კარგია.“ ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ თამარ მეფემ ჯვაროსნებთან კი არ გააფორმა მოკავშირეობის ხელშეკრულება, არამედ სალადინთან დადო ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. არსებობდა ორი დიდი ქვეყანა: ქრისტიანული იმპერია — საქართველო, რომელსაც სათავეში ედგა თამარ მეფე — გონიერი მმართველი ამ ქვეყნისა, და ეგვიპტე, რომელსაც ასეთივე ჭკვიანი მმართველი — სალადინი მართავდა. მათი საზღვრები ერთმანეთს დაუახლოვდა და საქართველოსა და ეგვიპტეს შორის ან ომი უნდა დაწყებულიყო (რადგან სალადინს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან თავს ჯვაროსნები ესხმოდნენ), ანდა ერთმანეთთან კავშირი უნდა შეეკრათ. კარგად გათვლილი პოლიტიკის შედეგად, თამარმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადო სალადინთან და საქართველოს 30-წლიანი მშვიდობა მოუტანა. ამ ხნის განმავლობაში მუსლიმანები ჩვენი მოკავშირეები იყვნენ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თავის სააღდგომო ეპისტოლეში წერს — ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როდესაც ქართველები გაშლილი დროშებით შევდიოდით იერუსალიმში, ეს ხდებოდა არა ჯვაროსნების, არამედ მუსლიმი მმართველების დროს, რომლებიც ჩვენ განგვიხილავდნენ, როგორც მოკავშირეებს.

კიდევ ერთხელ მინდა გაგახსენოთ, რომ რელიგიური შეუწყნარებლობის ის საფრთხე, რომელიც ახლა ნელ-ნელა იჩენს თავს და რომელიც ჯერ რუსეთმა მოიტანა და შემდეგ ვაჰაბიზმმა, არაბუნებრივია თავად ისლამისთვისაც. ალი, ყველაზე მართლმორწმუნე ხალიფა, მუსლიმანებს მიმართავდა: — „თქვენ უნდა გიყვარდეთ ყველა ადამიანი. ზოგი იმიტომ, რომ თქვენი ძმაა რწმენით, ზოგი იმიტომ, რომ უფალმა თქვენსავით გააჩინა.“ ეს იყო ადამიანი, რომელიც წინაადმდეგი იყო, რომ ქრისტიანებს არაბეთში ძალდატანებით მიეღოთ მუსლიმანობა. ის ამბობდა — „მე მეეჭვება იმ კაცის გონიერებისა, რომელსაც ძალუძს ერთი მართალი რჯული დატოვოს და მეორე მართალი რჯული მიიღოს.“ ამას ამბობდა ალი მაშინ, როდესაც არაბეთში ყველაზე მეტი გასაჭირი ედგა ქრისტიანობას.

ამ ჰუმანური პოზიციის გაგრძელებაა ის, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მთელს მსოფლიოს შესთავაზა. მთელი დასავლეთი, როგორც ჯვაროსნობის დროს, ცდილობს, ერთმანეთს შეაჯახოს ქრისტიანული და ისლამური სამყარო. ჰატინგტონმა, რომელსაც იმედი აქვს, რომ პირადად მას ეს არ შეეხება, შექმნა „ცივილიზაციათა შეჯახების" თეორია. რითი უპასუხა მას ჩვენმა კათოლიკოს-პატრიარქმა? მან, პირველმა მსოფლიოში, უფრო ადრე, ვიდრე მოჰამედ ხათამიმ, ან სხვებმა, წამოაყენა „ცივილიზაციათა დიალოგის" იდეა და გვაჩვენა საზღვრები — სად უნდა გაიაროს ცივილიზაციათა დიალოგმა: ის არ უნდა შეეხოს რწმენას, ის უნდა შეეხოს კულტურას, სულიერებას და ადამიანს.

ეს არის მთავარი მონაპოვარი, რომელიც შეიქმნა საქართველოში და რომელიც კავკასიას ისევ გადაარჩენს რელიგიური ომებისაგან. თუ ჩვენთან, ვგულისმობ ჩრდილო კავკასიას, ვაჰაბიტებმა ვერ გაიმარჯვეს, კავკასიაში რელიგიური ომი არ მოხდება. ამის მჯერა იმიტომ, რომ აქ ისევ ხდება უცნაური მოვლენა — მე ვარ იმისი მოწმე, რომ დაღესტნელი მუსლიმანები დღემდე ჩამოდიან ალავერდში და ჩვენს სიწმიდეებზე ლოცულობენ. ეს ძველი ხსოვნის შედეგია — იქ ქართველები თესავდნენ ქრისტიანობას.

პირველი მეფე დაღესტანში სასანიდი იყო — ვახტანგ გორგასალმა ტახტზე თავისი ნათესავი დასვა. ამ სასანიდმა მეფეებმა, ქრისტიანებმა, იქ ქრისტიანობა შემოინახეს გვიან შუა საუკუნეებამდე და უზარმაზარი კულტურა შეინარჩუნეს. ქრისტიანობას აქვს ის ძალა, რომ სადაც შევა, შეიტანოს მშვიდობა. შემთხვევითი არ არის, რომ სულიწმიდის სიმბოლო არის ის მტრედი, რომელიც ნოემ წარღვნის დროს გამოუშვა თავისი კიდობანიდან. დიახ, ეს მტრედი გახლავთ ქრისტიანობის სიმბოლო და, მე მინდა გითხრათ, რაც უფრო მტკიცე იქნება ადამიანი თავის რწმენაში, მით მეტი ძალა ექნება იმისათვის, რომ შეიყვაროს სხვა ადამიანი და გაუკეთოს მას სიკეთე, ანუ გააკეთოს ის, რასაც მაცხოვარი ქადაგებდა.

კითხვაზე — ვინ არის შენი მოყვასი? ქრისტემ თავის მოციქულებს უამბო იგავი:

— ერთი კაცი ეგდო იერუსალიმის გზაზე. ჩამოიარა მღვდელმა და არ მიაქცია ყურადღება, ჩამოიარა ლევიტმა და არ მიაქცია ყურადღება, ჩამოიარა სამარიტელმა. შეეცოდა ეს კაცი, გადაკიდა სახედარს, ჩაიყვანა ქალაქში, მიაბარა ექიმს, გადაიხადა მისი მკურნალობის ფული და თქვა — თუ ეს ფული არ გეყოფათ, უკანა გზაზე რომ გამოვივლი, შემდეგ გაგისწორებთ ანგარიშსო. და კითხულობს უფალი — ვინ არის ამ კაცის მოყვასი? ის მღვდელი, რომელიც გულგრილი აღმოჩნდა? ის ლევიტი თუ მისგან განსხვავებული სარწმუნოების ადამიანი, რომელმაც მას დახმარება აღმოუჩინა? ქრისტიანობის მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჩვენი სიყვარულით „დავჩაგროთ“ ყველა, ჩვენი სიყვარულით მივერიოთ და დავამარცხოთ ყველა, რადგან სიყვარული უნდა იყოს უანგარო და ჩვენი მსაჯული უფლის გარდა არავინ იქნება.

ამიტომ შეგახსენებ, რომ ჩვენ ბედნიერ რეგიონში ვცხოვრობთ — კავკასიაში, სადაც არასოდეს ყოფილა რელიგიური ომები. მთავარი გზა კი არის ის გზა, რომელზეც მიგვითითა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა — ეს არის „ცივილიზაციათა დიალოგი“. ეს ქართველებს ნაკლებად გვეხება, რადგან ქართველი, რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი, ერთი კულტურისა და ცივილიზაციისაა. ეს არის ჩვენს მეზობლებთან სასაუბრო ენა. სულ უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც ვილაცა ცდილობს, გარედან მოახვიოს კავკასიას ის, რაც მისთვის უცხოა, უნდა ვთქვათ — არა! მე ეს ვუთხარი ჩრდილოკავკასიელ მთიელებს და აქაც გავიმეორებ: — ვაჰაბიზმი არ არის ქრისტიანების მტერი, ვაჰაბიზმი მუსლიმანების მტერია. ის ჯერ მოსპობს იმ მუსლიმანებს, რომლებიც კლასიკურ ისლამს მისდევენ და მხოლოდ შემდეგ მოიცლის ჩვენთვის. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ის თანაფარდობა, რომელიც კავკასიაშია და რომელიც 70-წლიანი ულმერთო მმართველობის დროს შესუსტდა, აღდგეს, რადგან მხოლოდ მართლმადიდებლობას შეუძლია კავკასიაში სიტუაციის გაწონას-

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელთა შორის მრავლად არიან მუსლიმანური რელიგიის მიმდევარნი, კონფერენციაზე დასწრების და თბილისიდან მიწვეულ პროფესორთა მოსმენის დიდი ინტერესი გამოავლინეს.

საპატრიარქოს მიერ დაგეგმილი ღონისძიება, რა თქმა უნდა, აგრესიას და დაპირისპირებას აჭარის მაღალმთიან სოფლებში არ „შეიტანდა“ და ამაში ეჭვი არც არავის შეჰპარვია, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მუსლიმანური საზოგადოების წინაშე წარმდგარმა პროფესორებმა ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ღრმა დიალოგის დასაწყებად განაწყვეს.

„ცივილიზაციათა შეჯახებას“

წორება. ნებისმიერი დიალოგი სჯობს „ცივილიზაციათა შეჯახებას“. აკი ამბობდა კიდეც ხალიფა ალი: „დიალოგი უტყუარი გზის დასაწყისია“.

„ერთმანეთის მიმართ ფრთხილად უნდა ვიყოთ“ – მიაჩნია ქართველ სამუსლიმანო სათვისტომოს ხელმძღვანელს

ბეჟან ბოლქვაძე, აჭარის მუფტი, ქართველ სამუსლიმანო სათვისტომოს ხელმძღვანელი:

— მინდა ვისარგებლო ტრიბუნით და ვთქვა — ეს საქართველოა. პატივი ვცეთ ერთმანეთის გრძნობებს, იმიტომ, რომ აჭარა მუსლიმანური მხარეა და ამ კუთხით გელაპარაკებით, ჩემო ძვირფასებო, ყველა გრძნობას პატივი ვცეთ. არ გამოვრიცხავ და მთელი გულითაც ვამბობ: მობრძანდნენ, შემოვიდნენ, ვისაც სურს — ნაეკლესიარზე ეკლესია ააშენოს, ლოცვა უნდა — ილოცოს, მეჩეთის აშენება უნდა — ააშენოს, შევიდეს და ილოცოს, მაგრამ ერთმანეთის მიმართ ფრთხილად ვიყოთ. რა მორწმუნე ვიქნები, თუ ვიტყვი: — იმათი რწმენა რწმენა არ არის, ისინი

კარგი ადამიანები არ არიან, ჩვენ ვართ კარგი ხალხი. ჩემი ენა ამას ვერ იტყვის, რადგან ყველანი მოკვდავნი ვართ...

პატარა ბავშვებთანაც გვმართებს დაფიქრება. ეს სამუსლიმანო კუთხეა. ბავშვმა აირჩიოს, მშობელი დაეხმაროს და მისი ნებით, სურვილით მივიდეს ეკლესიაში, შევიდეს ქრისტიანულ ან მუსლიმანურ სასწავლებელში — ეს მათი არჩევანი უნდა იყოს. მე მუსლიმანი კაცი ვარ, ჩემი შვილი სკოლაში რომ მივიდა, 35 ქრისტიანთან ერთადერთი მუსლიმანი აღმოჩნდა. მისი კლასში ყოფნა თანდათან აუტანელი ხდება. იძულებული ვარ, ბავშვი გამოვიყვანო.

ამიტომ ვამბობ — განათლება მივიღოთ, ერთმანეთის სიყვარული ვისწავლოთ, თანადგომა ვისწავლოთ, პატივი ვცეთ მეუფესაც, მღვდელსაც, ეპისკოპოსსაც, ხოჯასაც, მოლასაც და ყველა იმ ადამიანს, ვინც საქართველოში ცხოვრობს. ჩვენ ამიერიდან უფრო გავძლიერდებით, გავმრავლდებით, გავმაგრდებით, ავმაღლდებით მორალურადაც და ზნეობრივადაც. ურთიერთსიყვარული თუ არ ჩავთესეთ, ძალიან გაგვიჭირდება.

ბოდიშს მოვიხდი, თუ ვინმეს ვაწყენინე. ვისაც რა აქვს გულში, უნდა თქვას, მაგრამ მე ეს საწყენად არ მითქვამს. სამუსლიმანო საზოგადოების სახელით მე მაქვს უფლება განვაცხადო: — ეს მუსლიმანური კუთხეა, მე მგონი ამ სოფელში ქრისტიანი ბევრი არ არის, ეგ უკვე მათი ნებაა. ეკლესიის აშენება გინდათ? მოვალთ, ავაშენოთ ერთად, ქვასაც მოვზიდავთ და შენებაშიც მოგეხმარებით. მეჩეთი შენდება? მოდი, ძმაო, და თუ არ გინდა აშენება, დადექი მაინც ჩემს გვერდით. ეს სიყვარული ჩვენ გაგვამთელებს და გაგვაერთიანებს.

აქ პროზელიტიზმზე და ერთმანეთის გადაბირებაზე არ არის ლაპარაკი!

პასუხის პასუხი

მიხეილ ქურდიანი:

— მინდა მივმართო ბატონ ბეჟან ბოლქვაძეს. ბატონო ბეჟან, მოჰამედი ამბობდა: მეცნიერება — ეს არის ღვთისმოსაობის დაკარგული აქლემი და სადაც შეხვდებით მას, კისერზე უნდა ჩამოეკიდოთო. ჩვენი კონფერენცია სამეცნიერო კონფერენციაა და სიტუაცია, რომელიც აქ არის, წმინდა სამეცნიერო სიტუაციაა. არ შეიძლება რომელიმე ქრისტიანი სძულდეს რომელიმე მუსლიმანს, თუ ის ჭეშმარიტი მორწმუნეა და პირიქით, როგორ შეიძლება მუსლიმანი სძულდეს რომელიმე ქრისტიანს, რომელიც დოგმებს აღიარებს და რომელსაც იოანე მოციქულთან და პავლე მოციქულთან აქვს პირი შეკრული.

თავს ვალდებულად ვთვლი, განვაცხადო, რომ დღევანდელი კონფერენცია ეძღვნებოდა ისტორიულ ფაქტს და არა რომელიმე რელიგიის უპირატესობის გარკვევას. მე მეტსაც გეტყვით: მაშინ, როდესაც ძალიან დიდი გაჭირვება იყო, ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ქართულ ეკლესიას წმიდანად ჰყავს შერაცხული, 1906 წელს ბანკის ფულით ათარგმნინა ყურანი ქართულად და გამოსცა დიდი ტირაჟით, რომ არაბულის არმცოდნე ქართველ მუსლიმანებს ყურანი ქართულად წაეკითხათ.

შესანიშნავი პიროვნება გახლდათ სოხუმის მერი თავდგირიძე. XIX საუკუნეში მან არაბული ლოცვები ქართველი მუსლიმანებისთვის ქართულად ათარგმნინა და გამოსცა, რადგან უმრავლესობამ არაბული არ იცოდა. როდესაც მესხების პრობლემა შეიქმნა, ჩვენმა მუსლიმანმა ძმებმა, რომლებიც თავისი ტერიტორიიდან აყარეს, შუა აზიაში გაასახლეს და სცადეს, მათთვის ეროვნება დაეკარგვინებინათ, პირადად მე მომმართეს ვედრებით — ქართულ ენაზე ნათარგმნი ყურანი გვინდა და იქნებ მოგვაწოდოთო. მე ჩემი ხელით გადავიღე (მაშინ ქსეროქსი არც იყო) ERA-ზე 500 ცალი ყურანი და ჩემს მუსლიმან ძმებს შუა აზიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩავუტანე.

განა მუსლიმანებისთვის მხსნელი არ არის იესო ქრისტე? განა ისინი მას „მასიჰ"-ს არ უწოდებენ?

დღეს აქ საუბარია ისტორიულ ფაქტზე — მოვიდა ანდრია პირველწოდებული და ააშენა პირველი ეკლესია.

როდესაც ეკრანზე გაჩნდა ყოვლად შეუწყნარებელი ფილმი — „და ვიწჩის კოდი“, ირანში გამოვიდნენ შიიტი მუსლიმანები ლოზუნგებით: — „ქრისტიანებო, დაგვეხმარეთ მაცხოვრის შეურაცხყოფისგან დაცვაში“.

დიახ, ბატონებო, ჩვენ ერთი ცივილიზაცია გვაქვს, ერთი ხალხი ვართ და თუ ერთმანეთი არ გვეყვარება, არაფერი გამოგვივა. აქ პროზელიტიზმზე და ერთმანეთის გადაბირებაზე არ არის ლაპარაკი.

ერთ ფაქტს გავიხსენებ: ყაზახეთში მგზავრობის დროს ჩემს კუპეში მოხვდნენ მღვდელი, ყაზახი ბიზნესმენი და მოლა. ისე გამოვიდა, რომ მოლა და მღვდელი მთელი გზა ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ყაზახი ბიზნესმენი ცოტა განაწყენდა და მოლას მიმართა — აქ მე ვარ მუსლიმანი და მე უნდა მელაპარაკო და არა ქრისტიან მღვდელსო. მოლამ უპასუხა — ამ კაცს ღმერთი სწამს. ჩვენ ღმერთზე ვლაპარაკობთ. შენ კი ღმერთი არ გწამს და რაზე უნდა გელაპარაკოო.

ისინი უნდა ველაპარაკებოდეთ ერთმანეთს, ვისაც ღმერთი გვწამს. პატივი ვცეთ ერთმანეთის რწმენას ისე, როგორც ამას აკეთებს მისი უწმიდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ხოლო შეჯიბრება — ვისი რწმენა ჯობია, ჩვენ არასოდეს არსად მიგვიყვანს!

მინდა ქართველ მუსლიმანებს ახსოვდეთ: — როდესაც დასავლეთის პრესაში გამოქვეყნდა კარიკატურები მოჰამედზე, სწორედ მისი უწმიდესობა ილია II აღმოჩნდა ის ერთადერთი არამუსლიმი მღვდელმთავარი, რომელმაც საჯაროდ დაგმო სხვა რელიგიის წმიდანთა შეურაცხყოფის მცდელობა.

როგორიც არ უნდა იყოს ზოგიერთი ადამიანის რეაქცია, ჩვენ, მორწმუნეები, ერთმანეთს ყოველთვის გავუგებთ.

რატომ დაიწყო დიალოგი აჭარიდან?

კომენტარები

მიხეილ მახარაძე, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე:

— იყო პერიოდი, როცა ქართულმა ინტელიგენციამ უზარმაზარი საქმე გააკეთა აჭარში. ამის დეფიციტი არც ახლა არის. პერიოდულად ასეთი კონფერენციები უნდა ჩატარდეს, თორემ, სხვა მხრივ, აქ რაიმე პრობლემა აღარ დგას. სიტუაცია შეცვლილია.

ორი დღის წინ შუახევის რაიონში

ახალი ეკლესია აკურთხეს. აქ მოქმედებს სხალთისა და ხულოს ეკლესია. მამა სერაფიმეს დიდი მეცადინეობით აიგო, აგრეთვე, ეკლესია ზვარეში. ბათუმი-ახალციხის გზაზე ამაზე მშვენიერს ვერაფერს შეხვდებით. მაინც რას ნიშნავდა საქართველოსთვის ქრისტიანობასთან ზიარება და ქრისტიანად ქცევა? ეს იყო დიდ ევროპულ კულტურასთან ზიარების დასაწყისი.

არ არსებობს არც ლიტერატურა, არც კულტურა და არც ფილოსოფია, რომელიც სათავეს არ იღებდეს ქრისტიანული კულტურიდან. საქართველოს ჰქონია და აქვს მძიმე პერიოდები, მაგრამ ყველაზე დიდი საძირკველი იმისა, რომ ჩვენ გადავრჩებით, ჩვენი მსოფლმხედველობა იყო. დღევანდელი ცხოვრება მოითხოვს: — არავითარი წინააღმდეგობა და დაპირისპირება... თუ აზერბაიჯანის მუფტი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ერთმანეთს უგებენ, ჩვენ რატომ უნდა წარმოშვათ რაიმე პრობლემა?

ვახტანგ გურული, თსუ პროფესორი:

— ახლადშექმნილ სხალთის ეპარქიაში ქართველი ინტელიგენცია არა მარტო თბილისიდან, არამედ ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან, უნივერსიტეტებიდან, სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებიდან ძალიან ხშირად უნდა ჩამოდიოდეს. აქ მცხოვრებ ადამიანებს ინტელიგენციასთან ურთიერთობის დიდი დეფიციტი აქვთ. ისინი, სხვადასხვა მიზეზების გამო, თავად ვერ ახერხებენ თბილისში ჩამოსვლას და ღონისძიებებში მონაწილეობას. ქართულმა ინტელიგენციამ რაღაცნაირად უნდა შეიმუშაოს გრაფიკი და წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოვიდეს ზემოაჭარის მაღალმთიან სოფლებში, სხალთის ეპარქიაში და შეხვდეს მოსახლეობას. ეს არ არის აგიტაცია-პროპაგანდა. ეს არის, უბრალოდ, ურთიერთგაცნობისა და დაახლოების საშუალება.

დამანა მელიქიშვილი, თსუ-ს პროფესორი:

— საქართველოს პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს — ნუ შეეხებით სარწმუნოებას, ასწავლეთ ისტორია! ამით სწორ გზას გვიჩვენებს — უნდა გაიხსნას სკოლები, სადაც ახალგაზრდობას ნორმალურ ევროპულ განათლებას მივცემთ. სხვათაშორის, თურქეთის ჯამეებში რომ ახალგაზრდობას აგზავნიან, სწორედ მოხუცი თაობის ინიციატივაა და არა შუა თაობისა. ეს თაობა ამ რწმენით გაიზარდა და ამას ვერაფრით შეცვლი, ვერც შეეხები...

ამ შეხვედრას ის მნიშვნელობა აქვს, რომ აქ სჭირდებათ მხარდაჭერა. ჩვენ მათ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ აქაური ქრისტიანები მიტოვებულნი არ არიან, რომ აქ მცხოვრები ყველა რელიგიის მიმდევარი ადამიანი საქართველოს მკვიდრია. მათ ამის დადასტურება სჭირდებათ და არა მოქცევა. პატრიარქიც ხომ ამბობს, რომ აჭარამ მოაქცია მთელი საქართველო.

საპატრიარქოს ინტელიგენციის თანადგომა ახალგაზრდეგის შემოსაბრუნებლადაც სჭირდება

სოფელ ხიჭაურის მოედანზე, სადაც აჭარის რევოლუციის შემდეგ დიდი ჯვარი აღმართეს, განლაგებული იყო ყოფილი სამხედრო ბაზა, რომელიც 50-იან წლებში რუსებმა ააშენეს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აქ ქართული სამხედრო ნაწილი ჩადგა. ამჯერად ეს კომპლექსი უფუნქციოდ არის დარჩენილი და სასაზღვრო დეპარტამენტის ბალანსიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბალანსზეა აყვანილი. საპატრიარქომ ამ კომპლექსის მისთვის გადაცემის საკითხი დასვა.

აჭარის რეგიონიდან ახალგაზრდობა სოციალური პირობების გამო სასწავლებლად საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი თურქეთში მიდის. **„ჩვენ სწავლა გვინდა და ვერ ვიხდით გადასახადს. საშუალება რომ გვქონდეს, აქ გვირჩევნია, ჩვენს სამშობლოში.“** — ამბობს მათი უმეტესობა.

ახალგაზრდების მიზანი სწავლაა, მაგრამ როგორც მეუფე სპირიდონი აღნიშნავს, არსებობს იმის საშიშროება, რომ საზღვარგარეთ წასული სტუდენტები უკან არაქართული ორიენტაციით დაბრუნდნენ, რაც სხვა სახელმწიფოთა მიზანს წარმოადგენს. **„საპატრიარქოს სურს, რომ ამ სამხედრო ბაზის ადგილზე უმაღლესი და საშუალო პროფესიული სასწავლებელი დააარსოს. ჩვენ გვსურს მოვიზიდოთ ახალგაზრდობა ზემო აჭარიდან და მივეხმაროთ მათ უფასო განათლების მიღებაში, რაც ამ დინებას შეაჩერებს. ასევე გვინდა ბავშვთა სახლის და სკოლის გახსნა.“** — აღნიშნა მეუფე სპირიდონმა. საპატრიარქოს ინტელიგენციის თანადგომა ამ ახალგაზრდების შემოსაბრუნებლადაც სჭირდება.

„ბედნიერი ვარ, რომ დიდაჭარაში საზოგადოებასთან შეხვედრის იდეას, რომელიც საპატრიარქოს ეკუთვნის, მხარი დაუჭირა ქართულმა ინტელიგენციამ. ასეთი შეხვედრები ტრადიციად უნდა იქცეს. ეს კუთხე არის ჩვენი აკვანი და ჩვენი სამარე. აკვანი იმიტომ, რომ ყველაფერი აქედან დაიწყო, სამარე კი იმიტომ, რომ თუ საზოგადოებისა და ინტელიგენციის ურთიერთობა აქ ჩაკვდება — საქართველოში დაიწყება კულტურის დეგრადაცია. ყოველმა კაცმა უნდა გააცნობიეროს, საიდან მოდის. ამიტომ აქ უნდა ჩამოდიოდეს ყველა და თაყვანს სცემდეს წმინდა ტაძარს, დედაღვთისმშობლისა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის მადლს და ეს მადლი შემდეგ ჩვენზე უნდა გადმოვიდეს.

12 მაისი მიჩნეულია წმიდა დღეასასწაულად. ამ დღეებში, ქართული ინტელიგენციის ხულოს რაიონში და დიდაჭარაში სტუმრობით დაიწყო დღეასასწაულის აღნიშვნა. ამავე თარიღთან დაკავშირებით დიდაჭარაში ჩამობრძანებას აპირებს პატრიარქი. ჩვენ გვინდა, რომ პირველი ქადაგების აღვლენის ნიშნად საქართველოში დიდი ზეიმი შედგეს. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს აკვნის ზეიმია.“ — აღნიშნა სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე სპირიდონმა.

„ტრაფარეტული ბოდიში არავის სჭირდება“

სტუდენტური თვითმმართველობა მართული არ არის!

ნინო კაკულია
ხათუნა ხატიაშვილი

ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ერთერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად გასულ კვირაში აფხაზი სეპარატისტების ტყვეობიდან თსუ-ს ზუგდიდის ფილიალის სამი ქართველი სტუდენტის გათავისუფლების ფაქტი იქცა. ლევან ღაჭავა, ივერი ყორშია და კობა რიგვავა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გალის რაიონში 1 მარტს მაშინ დაკავა, როცა ენგურის ხიდის ერთი მხრიდან ახალგაზრდები აფხაზეთის ადგილობრივ მოსახლეობას აფხაზეთის საპარლამენტო არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდებდნენ. სეპარატისტებმა ქართველი სტუდენტები 3 მაისს საღამოს გაათავისუფლეს, მანამდე კი, აფხაზური მხარე მათი გათავისუფლების სანაცვლოდ, გალის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით სიგუას გათავისუფლებას ითხოვდა. პრეზიდენტმა ტყვეობიდან დახსნილ სტუდენტებს ღირსების მედლები გადასცა.

აფხაზი სეპარატისტების მიერ გათავისუფლებული ქართველი სტუდენტების მხარდასაჭერად მთავრობის კანცელარიასთან შეკრებილ ახალგაზრდებს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლევან ღაჭავა, ივერი ყორშია და კობა რიგვავა უკანონო ტყვეები იყვნენ, თუმცა, მათ ვაუკაცობა გამოიჩინეს და დიდ გაჭირვებას გაუძლეს.

„ჩვენ ბოდიში მოსახდელი არავისთან გვაქვს, აქეთ მოგვიხადონ ბოდიში, რადგან ჩვენი უფლებები, ჩვენი შვილების უფლებები გათელეს. თუ მათ სურთ დიალოგი, ჩვენ ამისთვის მზად ვართ“, - განაცხადა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ქართველ ერს აქვს ღირსების გრძნობა და ამ ღირსებას არავის შეაბღალინებს. „ჩვენ გვაქვს დიდი ღირსების გრძნობა და ნურავინ შეეცდება მის შეურაცხყოფას. ვერავინ შეძლებს ჩვენთან შანტაჟის ენით ლაპარაკს, რადგან შანტაჟის ენით ჩვენ არ ვსაუბრობთ“, — ხაზგასმით აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს საზღვარი არ მთავრდება ენგურთან, რადგან ქვეყნის ადმინისტრაციული საზღვარი გადის ფსოუზე და ქართველი ახალგაზრდების როლის დაკნინების ნებისმიერი მცდელობა დამკნინებლისთვის ცუდად დამთავრდება.

სამი თვის წინ სტუდენტების ინიციატივით მშვიდობიანი კოცონის დანთების კეთილშობილური მიზანიც პოლიტიკურ ჭრილში განსახილველ საკითხად იქცა. და სამწუხარო ის არის, რომ ქართველი სტუდენტების გააქტიურება პოლიტიკურმა ოპოზიციამაც ხელისუფლების დაკვეთას მიაწერა. სწორედ მათმა შეფასებებმა გამოიწვია სტუდენტების ნაწილის დაპირისპირება ხელისუფლების პოლიტიკურ ოპოზიციასთან. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები რესპუბლიკური პარტიის წევრებისგან ლევან ბერძენიშვილისა და პაატა ზაქარეიშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდნენ, რითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა პროტესტს გამოეხმაურნენ.

საქართველოს საზოგადოებისთვის 3 მაისის მნიშვნელოვან მოვლენას დაუყონებლივ გამოეხმაურა თავად აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამი ქართველი სტუდენტის გათავისუფლების ფაქტის პოლიტიზირებაში დაადანაშაულა.

რუსული მედიის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში სერგეი ბაღაფშმა მიხეილ სააკაშვილის მთელ პოლიტიკას „დიდი სპექტაკლი“ უწოდა, სადაც საქართველოს პრეზიდენტი რეჟისორია, ხოლო ქართველი ხალხი, სამწუხაროდ, მას ენდობა. „სამი ქართველი სტუდენტი, რომლებსაც ორი წელი მიუსაჯეს, მე საერთაშორისო ორგანიზაციების თხოვნით გავათავისუფლე, თბილისში კი ამისგან პოლიტიკური შოუ მოაწყვეს“, - განაცხადა ბაღაფშმა. მისი თქმით, პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებული სამი ახალგაზრდის გათავისუფლებისთვის მადლობის მაგიერ მიხეილ სააკაშვილმა სანახაობა თავად აფხაზებსაც მოუწყო.

საქართველოსა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტების დაპირისპირების ფონზე აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელი გალის რაიონში თორნიკე კილანავა არ გამორიცხავს, რომ სამი ქართველი სტუდენტი სწორედაც რომ მიხეილ სააკაშვილისა და სერგეი ბაღაფშის უშუალო მოლაპარაკებების შედეგად გაათავისუფლეს.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ტყვეობისგან გათავისუფლებული ქართველი სტუდენტები აფხაზურ მხარეს მათ მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის განხორციელებაში ადანაშაულებენ.

როგორც ყოფილმა მძევალმა ივერი ყორშიამ სახელმწიფო კანცელარიასთან ჟურნალისტებს განუცხადა, აფხაზეთის დე ფაქტო ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მათზე ზემოქმედებდნენ. სტუდენტებმა უპასუხოდ დატოვეს ჟურნალისტების შეკითხვა, თუ რა პირობებში მოხდა მათი გათავისუფლება. სამივე სტუდენტი უშიშროების სამსახურმა კანცელარიასთან, ინგოროყვას ქუჩაზე გაჩერებულ ავტომანქანებამდე მიაცილა და ჟურნალისტებს გაარიდა. ტყვეობისგან გათავისუფლებული სტუდენტების ახლობლების განცხადებით, მათ ყოფილი მძევლების გათავისუფლების შესახებ ტელევიზიით შეიტყვეს.

მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, საკუთარი აზრი გამოთქვა თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა გაგა ხაბულიანმა, რომელსაც მიაჩნია, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ საკუთარი ქცევით საზოგადოებას ნამდვილი სახე დაანახა და მათგან ტრაფარეტული ბოდიში არავის სჭირდება. რაც შეეხება სტუდენტური თვითმმართველობის შიგნით არსებულ დაპირისპირებაზე მინიშნებებს, რაც ქართული პრესის ფურცლებზე ბოლო პერიოდში გაჩნდა, ვიცე-პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი არის მთავარი, რომელიც არც თიანობას ითვალისწინებს. „ჩვენ გავაგრძელებთ ჯანსაღი აზრისთვის ბრძოლას იმავე რიტმში" — თქვა მან.

თსუ-ს თვითმმართველობის აბსოლუტური უმრავლესობა აფხაზი სეპარატისტების ტყვეობიდან ქართველი სტუდენტების დახსნაში უდიდეს დამსახურებას, რა თქმა უნდა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ძალისხმევას უკავშირებს, თუმცა აღიარებს, რომ აფხაზურ მხარეზე საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენამაც სერიოზულად იმოქმედა. თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის ირაკლი მეგრელიშვილის განცხადებით, ტყვე სტუდენტები 20 დღის განმავლობაში იყნენ ისეთ საკნებში, რომელსაც არ ჰქონდა ფანჯრები, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევის გზით მაინც მოხერხდა მათი ნორმალურ პირობებში გადაყვანა. „ესენი იყვნენ გულწრფელი სტუდენტები. მათ სახეზე ეწერათ ისეთი ვაუკაცობა, რომ ყველა სტუდენტისთვის ეს იყო მაგალითი. ჩვენ მშვიდობიანი გზით უნდა მივიყვანოთ ჩვენი ბრძოლა ბოლომდე." — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ირაკლი მეგრელიშვილმა.

■ სტუდენტებს საკმაო თავმოყვარეობა აქვთ და მათ იუკადრისეს ოპოზიციისგან იმის მტკიცება, რომ სტუდენტები მართულები არიან.

ახალგაზრდების ეს ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთი პოლიტიკური პარტიის შეფასება საზოგადოების აზრს ეწინააღმდეგება და ის ტყეობაში ნამყოფი სტუდენტების შეურაცხყოფას ნიშნავს. ვერავინ უარყოფს იმას, რომ ახალგაზრდების აქტიურობამ და თანადგომამ დიდი როლი ითამაშა დაკავებულთა გათავისუფლებაში და ამ წვლილის დაკნინება, რა თქმა უნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მტკივნეული იქნებოდა.

■ ასე რომ, სტუდენტურ თვითმმართველობაში შიდა დაპირისპირების მოსურნეებს არ შეიძლება კეთილი სურვილები ამოძრავებდეთ. ყველა ახალგაზრდას თავისი ამბიცია აქვს და ამის წახალისებას უნივერსიტეტის რექტორიც და ადმინისტრაციაც ყველანაირად უწყობს ხელს. არავინ ეწინააღმდეგება იმას, რომ სტუდენტებმა სწორედ აქ უნდა შეიძინონ ლიდერის თვისებები. თუმცა უნივერსიტეტისთვის გარე-პოლიტიკური დაპირისპირების თავსმოხვევა, ალბათ, არასასურველ შედეგს გამოიღებს, მით უფრო, რომ საპარლამენტო არჩევნები მოდის. სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობა, როგორც ისინი ჩვენთან საუბარში აცხადებენ, ყველანაირად ცდილობს სტუდენტებში ერთიანობის განცდის შენარჩუნებას. ამ პოლიტიკით, ისინი, უფრო ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებენ და სეირისმოყვარულთ მშრალზეც დატოვებენ.

■ უნდა ითქვას, რომ როდესაც საქართველოს ხელისუფლების განცხადებები დამთხვევია რუსეთის პოზიციას, ოპონენტები ხელისუფლებას რუსეთთან კავშირს მაშინვე სწამებენ ხოლმე. როდესაც სტუდენტების გათავისუფლების ფაქტზე ბაღაფშის შეფასებები ქართული ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებების შინაარს დაემთხვა და, შესაბამისად, გაღიზიანებულმა სტუდენტებმა რესპუბლიკური პარტიის წევრებს რუსეთის აგენტები უწოდეს, ოპოზიციამ მათ შეურაცხყოფა მიაყენა. რა თქმა უნდა, სამწუხაროა ეს ინციდენტი, რადგან რესპუბლიკური პარტია ნამდვილად არ იმსახურებს იმას, რომ სტუდენტებმა მას რუსეთიდან მართული უწოდონ, მაგრამ არც პოლიტიკოსმა უნდა მიაყენოს შეურაცხყოფა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას, მით უფრო, რომ ლევან ბერძენიშვილი „ვარდების რევოლუციის" ერთერთი აქტიური წევრი იყო. ისიც გამოდიოდა ხოლმე წონასწორობიდან, როცა შევარდნაძის მმართველობის უკანასკნელ დღეებში რევოლუციის მონაწილეებს მართულებს ეძახდნენ.

ერთ ქართველ ახალგაზრდას არ დატოვებს სახლში და ერთ მუშტად კრავს. „ამ საკითხს არ შეიძლება ორი აზრი ჰქონდეს, მაგრამ თუ ვინმეს ეს სწორად არ ესმის, ჩვენ ყველას ყველაფერს ავუხსნით, სტუდენტური თვითმმართველობა ერთიანია“, — აღნიშნა მან.

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის გიორგი ავალიანის განმარტებით, სტუდენტურმა აქციებმა უკვე გამოიღო შედეგი, რომელიც ახალგაზრდული აზრის ერთიანობაა.

რაც შეეხება, გასულ კვირაში სტუდენტური თვითმმართველობის შიგნით არსებული გაუგებრობის გამოვლენის ფაქტს, მეგრელიშვილის თქმით, თვითმმართველობაც ისეთივე წარმომადგენლობითი ორგანოა, როგორც ქვეყნის პარლამენტი. „ერთიანი პარლამენტი არ არსებობს და, ასევე, შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა იყოს თვითმმართველობაშიც. თუმცა განზე დგომის უფლებაც არავის აქვს.“ — განაცხადა მან.

სტუდენტები ოჩხამურის ეკლესიის ასაშენებლად საქველმოქმედო აქციებს მართავენ

აჭარის რეგიონში, კერძოდ, ქობულეთის რაიონის სოფელ ოჩხამურში დანგრეული მართლმადიდებლური ეკლესიის რესტავრაციაში საქართველოს სტუდენტ ახალგაზრდობას საკუთარი წვლილი შეაქვს.

ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობის აუცილებლობის იდეა გასულ წელს თბილისის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტ ნინო შეწირულს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც თანატოლებთან ერთად, პატრიოტულ ბანაკში ყოფნისას, მიუვალ ადგილზე შელახული ქართული რწმენის სიმბოლო საკუთარი თვალით იხილა.

სტუდენტური საქველმოქმედო აქციების ჩატარების, ერთობლივი ძალისხმევით თანხის შეგროვებისა და მისი ეკლესიის მშენებლობის საქმეში ჩადების იდეას მხარი დაუჭირეს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

სტუდენტი ახალგაზრდობის დასკვნითი შეხვედრა 5 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა, სადაც ითქვა, რომ მალე ქველმოქმედებას საშუალო სკოლების მოსწავლეებიც შეუერთდებიან.

აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ნინო შეწირულის განცხადებით, სტუდენტური საქველმოქმედო აქციის მიმდინარეობისა და მისი საბოლოო მიზნის შესახებ საქმის კურსშია კულტურის მინისტრის მოადგილე ლადო ვარძელაშვილი. არსებობს შეთანხმება, რომ შეგროვებულ თანხას ახალგაზრდები ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ოჩხამურში ეკლესიის მშენებელთ პირადად ჩაუტანენ.

როგორც ნინო შეწირულმა თანამოაზრეების სახელით აღნიშნა, აჭარის რეგიონის მაღალმთიან ნაწილში, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ მართლმადიდებელი და მუსლიმანი ქართველები ცხოვრობენ, რწმენის განმტკიცებასა და, ამ საქმეში, ახალგაზრდების თანადგომას დიდი მნიშვნელობა აქვს.

თსუ-ში გამართულ ღონისძიებას 50-მდე საშუალო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ აქციები ადგილებზე გამართონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ საქველმოქმედო საქმეში. ცალკეული ღონისძიებების დასრულების შემდეგ დაგეგმილია სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების ერთობლივი ფართომასშტაბიანი შეკრების პროფკავშირების სახლში გამართვაც.

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლის თეონა ჭალიძის თქმით, სტუდენტურ აქციაში მონაწილეობის შეთავაზება სკოლის მოსწავლეების გარდა, მუსიკალური ტელეპროგრამების წამყვანებმა, „ნუცას სკოლელებმა“ და „ჯეო სთარელებმაც“ მიიღეს, რასაც ისინი სიამოვნებით დათანხმდნენ.

სტუდენტებს, დიდი ძალისხმევისა და მონდომების მიუხედავად, სოლიდური თანხის დაგროვების იმედი არა აქვთ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ მათი მცირედი წვლილი უდიდეს საქმეს დადებითად წაადგება, რითაც ისინი სამართლიანად იამაყებენ.

ქართველები ფაშიზმის წინააღმდეგ ამაოდ არ იბრძოდნენ

უნივერსიტეტში დიდი სამამულო ომის მონაწილე 6 თანამშრომელია

ისტორიას ვერავინ გააყალბებს. ის ისევ „დიდია“ და ისევ „სამამულო“! – ამ რწმენას ვერავინ წაართმევს უკვე დაშლილ საბჭოთა კავშირს და ახლა უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებში მცხოვრებ მილიონობით ადამიანს. უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, ომის თემაზე შექმნილ მელოდიებზე სულ უფრო ნაკლები ადამიანი ცეკვავს ვალსს... საქართველოში ომის ვეტერანთა რაოდენობა ხუთი ათასამდე შემცირდა. ერთმანეთსაც იშვიათად ეხმიანებიან, თითქოს ნელ-ნელა საზეიმო განწყობაც ქრება. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. მაგრამ თითოეული მათგანი გულით ატარებს იმ მოუშუშებელ ტკივილს, რასაც დიდი სამამულო ომი ჰქვია.

შურთხია ბეროშვილი

გასახსენებელი ბევრი აქვს უნივერსიტეტის პროფესორ გიორგი წიბახაშვილს, რომელიც ომის პირველი დღეებიდან ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა.

– უნივერსიტეტში ვსწავლობდი, როცა ომი დაიწყო. ახალგაზრდა ადამიანისათვის, რომელიც მომავლის რწმენით ცხოვრობს, ეს თავზარდამცემი ამბავი იყო. სხვადასხვა ადგილებში ვიბრძოდი: დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ფრონტზე – სატანკო ნაწილშიც ვმსახურობდი და ქვეით ჯარშიც. უკრაინის ჩრდილოეთით, სოფელ დრაგანოვკასთან ფერდში ყუმბარის ნაფლეთი მომხვდა. „საჩუქარი" დღესაც მატყვია. ომის დამთავრებას ვენაში შეეხვდი, შემდეგ ჩვენი ნაწილი აღმოსავლეთში, კერძოდ, მანჯურიაში გადაისროლეს. ომი საშინელებაა, მაგრამ არც ერთ ჩვენგანი არ ფიქრობდა, რომ უმიზნოდ იბრძოდა.

– მართლაც შესაშური თავგანწირვით იბრძოდნენ ადამიანები ამ ომში, მაინც რა განაპირობებდა ამგვარ სულისკვეთებას?

– დღევანდელი გადასახედიდან მთავარი ის კი არ არის, რომ ვიბრძოდით, არამედ – რატომ ვიბრძოდით და ვინ ვართ ჩვენ დღეს. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ომი არ იყო ქართველებისათვის. ვინც ასე ფიქრობს, ან უნებურად ცდება, ან უსინდისოდ იტყუება. ეს იყო ბრძოლა მსოფლიო ფაშიზმის წინააღმდეგ, სადაც მონაწილეობა საქართველომაც მიიღო და დიდი მსხვერპლიც გაიღო. ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, რა დიდი ძალა იყო ფაშიზმი. უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ კვესელავა ომის შემდგომ თარჯიმნად მუშაობდა ფაშისტების სასამართლო პროცესებზე. მან ჩამოიტანა უზარმაზარი დოკუმენტური მასალის ასლები, სადაც აღწერილი იყო, რას უპირებდნენ ისინი მთელ მსოფლიოს, მათ შორის – საქართველოს. მის წიგნებში – „ათასი ფუთი ბრალდება" და „ასერგასის დღე“, მოთხრობილია ამის შესახებ.

– იქნებ ეს მაშინდელი იდეოლოგიის შედეგი იყო?

– ამ ფაქტების დავიწყება და გაყალბება არ შეიძლება. ჩემი თვალით მაქვს ნანახი ოკუპირებული ტერიტორიები. იყო რაიონები, სადაც ყველა სახლი დანგრეული იყო და ცოცხალი ადამიანი არ ჭაჭანებდა. გერმანიას ჭირდებოდა დიდი ტერიტორიული სივრცეები – ეს მათი გეგმის ნაწილი იყო. საქართველოსაც იმავე ბედს უმზადებდნენ. მოსახლეობა შემცირდებოდა მომსახურე პერსონალის დონემდე და გერმანიის სამხედრო ძალების გამაჯანსაღებელი პუნქტები შეიქმნებოდა. მათ მოიგონეს სიტყვა, რომელიც მანამდე გერმანულ ენაში (საერთოდ არც ერთ ენაში) არ არსებობდა: – „ausfolcken" – რაც განსახლებას ნიშნავს, ანუ ტერიტორიის ხალხისაგან გათავისუფლებას. ასე რომ, თუ მომავალ თაობას ეცოდინება, რა მასშტაბის მოვლენა იყო მეორე მსოფლიო ომი, უკეთესად შეძლებს დასკვნების გაკეთებას.

– თქვენს საბრძოლო სულისკვეთებას „დიდი საბჭოეთის ბელადის“, სტალინის ფაქტორიც ხომ არ განაპირობებდა?

– რაც მაშინ მწამდა, დღესაც იგივე მწამს. ჩვენ ცუდი არაფერი გაგვიკეთებია. ჩვენ გულწრფელად გვჯეროდა, რომ უსამართლობას ვებრძოდით. როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ერთერთმა მაღალჩინოსანმა გამოგვიცხადა: მერედა, რატომ ომობდით, ვინ დაგაძალათო. არ შეიძლება ჯარისკაცს ასეთი რამ უთხრა. თუ გინდა, რომ შენს ქვეყანას ღირსეული ჯარისკაცი ჰყავდეს, მაგალითი უნდა აჩვენო. ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს ბევრი ხალხი დაიღუპა. ერთ მხარეს ფაშისტები – მეორე მხარეს დემოკრატები. ყველა ჯარისკაცი ერთ სასაფლაოზეა დაკრძალული, უზარმაზარი ჯვარია აღმართული და აწერია: „ესენი ყველა ესპანეთის შვილები არიან!" დღეს სახელმწიფოს ერთერთი სერიოზული პრობლემა სრულყოფილი ჯარის შექმნაა. ჯარისკაცს უნდა ჯეროდეს, რომ მისი თავდადება დაფასდება. ეს კი წინა თაობების მაგალითზე უნდა მოხდეს.

– როგორ ხვდებით 9 მაისს, ფრონტელი მეგობრების მონახულებას თუ აპირებთ?

– გამოგიტყდებით, აღარ არის ის ხალისი და განწყობა. ვაკის პარკშიც ყოველწლიურად უფრო ნაკლები ადამიანი მოდის. ბევრი წავიდა ამ ქვეყნიდან. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში სულ 5000 ვეტერანი შემორჩა. ერთ დროს დიდი სიამოვნებით და სიამაყით ვიცვამდი სამხედრო მუნდირს, რომელზეც ჩემი ცამეტი ჯილდოა დამაგრებული. ჩვენთვის მატერიალური თუ სოციალური დახმარებები არ არის მთავარი, მთავარი და გულსატკენია, რომ სამამულო ომის ვეტერანების მიმართ პატივისცემა დაიკარგა.

„ღიმილის ბიჭები" მითი სულაც არ ყოფილა

პროფესორი ნოდარ ჯანაშია სკოლის მოსწავლე იყო, ომი რომ დაიწყო. მეათე კლასში კი გაწვევის უწყება მიიღო. მოგვიანებით გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორმა დავით მჭედლიშვილმა მასზე სტატია დაწერა, თუ როგორ წავიდა სკოლის მოსწავლე ომში მოხალისედ. ბატონმა ნოდარმა გააპროტესტა და უთხრა, მოხალისედ კი არა, უწყების საფუძველზე წავედიო, რედაქტორმა „დაამშვიდა“, სკოლის მოსწავლის ომში წაყვანა არ შეიძლებოდა და ამას ხომ ვერ დავწერდიო.

ასე რომ, „ღიმილის ბიჭები" მითი სულაც არ ყოფილა. საბჭოთა ხელისუფლება „ქუდზე კაცს" უხმობდა სამშობლოს დასაცავად. ასე მოხვდა ნოდარ ჯანაშია მცხეთის საზენიტო არტილერიაში, ორკვირიანი ვარჯიშის შემდეგ კი – ჩრდილოეთ კავკასიაში, კრასნოდარის მხარეში.

არგივარში აეროდრომი და რკინიგზის კვანძი იყო და იმას ვიცავდით. ჩემს ყურთან ხშირად სკდებოდა ცხრაკილოიანი ყუმბარა,

ამის გამო წონასწორობა დღესაც დარღვეული მაქვს. ჩემთან ერთად იყვნენ რუსები და სომეხი ჯარისკაცები. იქ კურსკის ოპერაციის დაწყებამდე ვიყავით. ომის დამთავრებას ბაკერბაიჯანში შეეხვდი.

– როგორია ამ გადასახედიდან თქვენი განწყობა გამარჯვების დღესთან დაკავშირებით?

– ყველაფრის მიუხედავად, ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ცოცხალი გადავრჩი, საშუალება მომეცა მესწავლა და სამეცნიერო დარგში გამეგრძელებინა მოღვაწეობა. ვფიქრობ, ბევრი ვნახე და ბევრის გაკეთება მოვასწარი.

– ვაკის პარკში თუ წახვალთ ვეტერანთა შეკრებაზე?

– როგორ არ წავალ, კიდევ ერთხელ ვნახავ თანამებრძოლებს და მივულოცავ ჩვენთვის ძვირფას და დაუვიწყარ დღეს.

დღეს უნივერსიტეტში სამამულო ომის მონაწილე 6 თანამშრომელია. ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მათდამი პატივისცემის გამოხატვის ნიშნად ვეტერანებს, ალბათ, დასასჩუქრებს და მათ გულისტკივილს რამდენადმე გაანელებს.

უნივერსიტეტში

ბაირონს აქვს მსოფლიო მიზიდულობა

ჯორჯ გორდონ ბაირონის სალამო უნივერსიტეტში

შურთხია ბეროშვილი

ჯორჯ გორდონ ბაირონი ინგლისელი პოეტია,

ჯორჯ გორდონ ბაირონი ბერძენი პოეტია,

ჯორჯ გორდონ ბაირონი ქართველი პოეტია!

გადაჭარბებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ სამივე ვერსიას აქვს არსებობის უფლება. ამის დასტური იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული პოეზიის საღამო, რომელსაც ინგლისის ელჩი დონალდ მაკლარენი და საბერძნეთის ელჩი ელეფთეოს ანგელოპულოსი ესწრებოდნენ. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, თუ რაოდენ ძვირფასი და საამაყოა ეს სახელი სამივე ერისათვის. როგორც უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, ბაირონის პოეზიის სიყვარულში ქართველები თვით დიდ ბრიტანეთსაც კი შეეჯიბრებიან. **„ჩვენი სურვილია, უნივერსიტეტში დამკვიდრდეს ასეთი ღონისძიებების გამართვის ტრადიცია, რადგან საჭიროა, ახალგაზრდობას ჩამოუყალიბდეს მაღალი გემოვნება. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ჭეშმარიტ ღირებულებებს“**, – განაცხადა გიორგი ხუბუამ. რექტორმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტს, პროფესორ ინესა მერაბიშვილს ასეთი საინტერესო საღამოს ორგანიზებისათვის და აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება არის მნიშვნელოვანი აქტი და დასტური იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილება.

როგორც ინგლისის ელჩმა რონალდ მაკლარენმა აღნიშნა, მისთვის სასიამოვნო სიურპრიზია ბაირონის საღამოზე ამდენი ადამიანის მოსვლა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ინგლისელი პოეტი არ არის არც მხოლოდ ინგლისელების, არც მკვლევართა და ექსპერტთა კუთვნილება. **„დღევანდელი საღამო კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ბაირონს აქვს მსოფლიო მიზიდულობა. მისი სიდიადე არ განისაზღვრება მხოლოდ იმ ქვეყნით, სადაც ის დაიბადა, ის ყველა ქვეყნის და ყველა თაობის ადამიანებს უყვართ. მე ვიღებ რექტორის გამოწვევას, მოხარული ვარ, რომ ბატონი გიორგი ხუბუა და ქალბატონი ინესა ამ მიმართულებით მუშაობენ“**, – აღნიშნა ინგლისის ელჩმა.

ბაირონის სიყვარულში არც საბერძნეთის ელჩი ელეფთეოს ანგელოპულოსი ჩამორჩა არავის. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა პოეტის სიტყვები: **„თუ პოეტი ვარ, საბერძნეთს უნდა ვუმადლოდეო“**. მან საზოგადოებას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც აუწყა: **„მინდა იცოდეთ, რომ დღეს, ათენის ერთერთ გარეუბანში მიმდინარეობს საბერძნეთის ბაირონის საზოგადოების შეკრება. ბერძნების საყვარელმა პოეტმა, სოლომოთმა, რომელიც საბერძნეთის ჰიმნის ავტორია, არაერთი ლექსი მიუძღვნა ბაირონს. ჩემი ხალხისათვის ბაირონის პიროვნება უკავშირდება დამოუკიდებლობისადმი სწრაფვასა და თავისუფლების სიყვარულს. როგორც მოგეხსენებათ, ამ პიროვნებამ ბერძენთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მიუძღვნა თავისი ცხოვრება, მთელი თავისი ქონება. ამიტომ ჩვენ, რა თქმა უნდა, გვახსოვს და გვიყვარს ის, როგორც პოეტი, მაგრამ ბაირონი ბერძენი ხალხისათვის ასევე არის სიმბოლო თავისუფლებისა და კაცთმოყვარეობისა. ამიტომ მოხარული ვარ, რომ დღეს, უნივერსიტეტის კედლებში თქვენთან ერთად მოვიგონებ ბაირონს და წავიკითხავ მის ლექსებს.“**

პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაახსენა ინგლისელი ლორდის მშფოთვარე ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები. **„1788 წელს ლონდონში, არისტოკრატულ ოჯახში დაიბადა ვაჟი, ბავშვს ქუდბედი და მტკივანი ფეხი დაჰყვა. ქუდბედი, როგორც ჩანს, ნიშანი იყო იმისა, რომ იგი მსოფლიო მოქალაქის გვირგვინს დაიდგამდა, მტკივანი ფეხი კი – მრავალი ტკივილისა, რომელიც მას უნდა განეცადა და ამგვარად შეეწირა თავი კაცობრიობისათვის“**. ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა პოეზიის საღამო ორიგინალურად წარმართა: როდესაც ინგლისის და საბერძნეთის ელჩები ინგლისურად კითხულობდნენ ლექსებს, პარალელურად იგი ამ ლექსების მისეულ თარგმანს კითხულობდა. დარბაზში ჟღერდა შომბერგის მელოდია, რომლის ფონზე ელჩები და პოეზიის მოყვარულები ლექსებს კითხულობდნენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბაირონის სახელობის სკოლის მოსწავლეებს და ჰარვარდის უნივერსიტეტის სამ ქართველ სტუდენტს გადაეცათ სერტიფიკატები.

ბაირონთან და მის პოეზიასთან შეხვედრა უნივერსიტეტში დიდხანს გაგრძელდა. პოეტმა თინათინ მღვდლიაშვილმა ის ლექსები წაიკითხა, რომელიც მის ცხოვრებას და პოეზიას უძღვნა. სტუმრებმა კიდევ ერთხელ მოისმინეს ზვიად გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის და იოსებ ნონეშვილის ბაირონისადმი მიძღვნილი ლექსები.

ბრიტანეთის ელჩმა აღელვება ვერ დამალა და განაცხადა: **„ვხედავ, საბერძნეთს ღვიძავს, საქართველო ფხიზლადაა და იმედია, როდესაც ბრიტანეთში დავბრუნდები, ჩემი სამშობლოც ფეხზე დამხვდებაო“.**

ბაირონი სამყაროს პოეტია! – ამ აზრს აქვს არსებობის უფლება!

ყველაზე დიდი ცოდნა საკუთარი შესაძლებლობების ცოდნაა

თსუ-ს ინტელექტუალური ტურნირი: „რა? სად? როდის?"

ხათუნა ხატიაშვილი

თსუ-ს ინტელექტუალური ტურნირის: „რა? სად? როდის?“ ჩემპიონი და, შესაბამისად, თსუ-ს გარდამავალი თასის მფლობელი სტუდენტების გუნდი „1 X“ და მისი კაპიტანი გიორგი ეზუგბაია გახდა, რომელიც ვიცე-ჩემპიონ გუნდებთან: „ბურძგლა“ და „ინტეგრალი“ რამდენიმე დღეში ამავე სახელწოდების უნივერსიადაში პირველობისთვის იბრძოლებს.

8 მაისს თსუ-ს სააქტო დარბაზში უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ყოველწლიური ინტელექტუალური თამაშის - „რა? სად? როდის?“ შესარჩევი ტურნირი გაიმართა, სადაც მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლის 700-მდე სტუდენტმა მიიღო.

როგორც სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველი კურსის მაგისტრანტმა ვახტანგ ლომჯარიამ განაცხადა, ყოველწლიურ ინტელექტუალურ ტურნირში მონაწილეობის მსურველი სტუდენტების რაოდენობა წელს უპრეცედენტო იყო. მისი თქმით, საუკეთესო გუნდების შესარჩევ ტურნირში 120-მდე გუნდი მონაწილეობდა, რომელთაგან საუკეთესო სამეული შუალედურ თამაშში გამარჯვებულ 20 გუნდს შორის გამოვლინდა.

სტუდენტების აქტიურობასთან ერთად, წარმატებული და ასევე უპრეცედენტო აღმოჩნდა თავად თვითმმართველობის ორგანიზებულობაც. ინტელექტუალური ტურნირის საპრიზო ფონდი და საორგანიზაციო-ტექნიკური საკითხები ადრინდელისგან განსხვავებით, ამჟამად, მთლიანად თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსდა და უკმაყოფილოც არავინ დარჩენილა. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული „1 X"-ის, „ბურძგლასა“ და „ინტეგრალის“ წევრი სტუდენტები დიპლომების გარდა, წიგნებით და 200 ლარიანი პრემიებით დაჯილდოვდნენ.

ინტელექტუალურ ტურნირში გამარჯვებული გუნდების დაჯილდოების ცერემონიას დაესწრო თსუ-ს რექტორი გიორგი ხუბუა, რომელმაც გამარჯვებულ გუნდს თსუ-ს გარდამავალი თასი გადასცა. როგორც რექტორმა აღნიშნა, უნივერსიტეტი, რა თქმა უნდა, უპირველესად სტუდენტებს აძლევს განათლებას, მაგრამ ყველაზე დიდი ცოდნა საკუთარი შესაძლებლობების ცოდნაა. „სტუდენტური ცხოვრება იძენს ახალ შინაარსს და საინტერესო ფორმას, რომლის შედეგების მომსწრენი თანდათან ყველანი ერთად ვხდებით. ახალგაზრდული ენერგია და ინტერესი გასაკვირი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის მივიწყებული და საუკეთესო ტრადიციების განახლების ყველა მცდელობას ახალი წარმატებები მოაქვს,“ - აღნიშნა რექტორმა.

ინტელექტუალური ტურნირის უნივერსიტეტთაშორისი ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა შარშანდელისგან განსხვავებით, გაიმართება თსუ-ში, სადაც სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური და თავად უნივერსიტეტში გამოვლენილი საუკეთესო გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. ინტელექტუალურ ტურნირში: „რა? სად? როდის? გამოვლენილი საუკეთესო ოცეულის ის გუნდები, რომლებიც გამარჯვებულ სამეულში ვერ მოხვდნენ, ერთმანეთს „ბრეიგ რინგზე“ შეხვდებიან.

უნივერსიადის მომავალ ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი კი 2007 წლის საუკეთესო ინტელექტუალების გარდა, ყველა იმ სტუდენტს აქვს, ვისაც საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის სურვილი და, რა თქმა უნდა, ამ სურვილის რეალიზების საფუძველი გააჩნია.

„ამ ეზოს რომ უახლოვდებით, გაიფერთხეთ ფეხები, რათა ამ წმინდა ადგილას არ შემოიტანოთ მტვერი ქუჩური განწყობილებისა“

უნივერსიტეტში კორნელი კეკელიძის დღე აღინიშნა

შურთხია ბეროშვილი

კორნელი კეკელიძე უნივერსიტეტის ბაღში რიგით მესამე დაიკრძალა. მან ივანე ჯავახიშვილის და პეტრე მელიქიშვილის გვერდით ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. მომავალი თაობებისთვის ეს ფაქტი სიმბოლურია, რადგან სწორედ მათ სახელს უკავშირდება ქართული უნივერსიტეტის დაარსება და აღორძინება.

დიდი მეცნიერის სახელი კიდევ ორ ცენტრთანაა დაკავშირებული: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან (რომლის პირველი დირექტორი თვითონ იყო) და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტთან. მისმა მოწაფეებმა, რომლებიც ამ ცენტრებში მოღვაწეობენ, რამდენიმე ათეული წელია ტრადიციად დაამკვიდრეს კორნელი კეკელიძის დღის აღნიშვნა.

ღონისძიებაზე პროფესორებმა: ელგუჯა ხინთიბიძემ, რევაზ სირაძემ, მიხეილ ქავთარიამ საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს ბატონი კორნელი კეკელიძის ცხოვრებიდან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გულნაზი გალდავამ კორნელი კეკელიძის ის სიტყვები გაიხსენა, რომლითაც იგი მიმართავდა ახალგაზრდობას: **„ამ ეზოს რომ უახლოვდებით, გაიფერთხეთ ფეხები, რათა ამ წმინდა ადგილას არ შემოიტანოთ მტვერი ქუჩური განწყობილებისა“.** ქალბატონი გულნაზის თქმით, ეს სიტყვები უნივერსიტეტთან მიმართებაში თითოეული ადამიანის მორალური ვალდებულების განმსაზღვრელია. **„მეამაყება, რომ სწორედ ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გახლავართ და ჩემს მაგიდაზე, როგორც მრავალი წლის წინ, დღესაც უცვლელად დევს კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“. თსუ-ს შექმნისა და არსებობის ისტორია ფასეული მემკვიდრეობა გახლავთ და დიდი პასუხისმგებლობაც. ამ შესანიშნავი ტრადიციების გაგრძელების ბედი თითოეული ჩვენთაგანის ხელთაა. დღეს უნივერსიტეტში ბევრი პრობლემა, ბევრი საქმე და საზრუნავია. მათი სწორი გადაწყვეტა იქნება სწორედ ისტორიული ტრადიციებისადმი ერთგულება და გარანტი იმისა, რომ უფლება გვქონდეს ამ ეზოში თავაწეულებმა შემოვაბიჯოთ“,** — აღნიშნა გულნაზი გალდავამ.

პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ სტუდენტებს მეცნიერის დამსახურებებზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დღესაც გრძელდება კორნელი კეკელიძის დაწყებული სამეცნიერო მუშაობა ქართული ლიტერატურის თუ ბიზანტინისტიკის კუთხით. **„კორნელი კეკელიძეს მძიმე პერიოდში მოუწია მოღვაწეობამ. ყოფილ საბჭოთა კავშირში არც ისე ადვილი იყო ახლის თქმა, მითუმეტეს, თუ ის თეოლოგიურ ჩარჩოებში არ თავსდებოდა. რევოლუციის პერიოდში იგი თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორი იყო. უნივერსიტეტში მან დაარსა ქართული ლიტერატურის კათედრა. ათი წლის მანძილზე ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი იყო, ხუთი წელი კი თსუ-ს პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში. 1941 წელს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი არჩევის აკადემიკოსია“.**

ბატონმა ელგუჯა ხინთიბიძემ აღნიშნა, რომ მეცნიერის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებზე დღესაც გრძელდება მუშაობა. მისი თქმით, იმ დროს ბატონი კორნელის მხრიდან საკმაოდ თამამი იყო იმ პოზიციის გამჟღავნება, რომ „ვეფხისტყაოსნის" მსოფლმხედველობის საფუძველი ქრისტიანობაა. **„ჩვენი მოვალეობაა იმ დიდი საქმეების გაგრძელება, რომლებიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა დაგვიტოვეს“,** — აღნიშნა მან.

მიხეილ ქავთარიამ კორნელი კეკელიძის და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის უბადლო მეგობრობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მეცნიერის თითოეული ნაბიჯი, გარკვეულწილად, ამ დიდ პიროვნებასთან ურთიერთობამ განსაზღვრა.

სამეცნიერო სესიაზე საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს უნივერსიტეტის, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა: კახაბერ ლორიამ, ზაზა ხინთიბიძემ, ტრისტან მახაურმა, რუსუდან ნიშნიანიძემ, მაკა ელბაქიძემ, თეიმურაზ ქურდოვანიძემ, ნანა გონჯილაშვილმა, თამარ პაიჭაძემ, თამარ შარაბიძემ, ლელა ხაჩიძემ, ხვთისო მამისიმედიშვილმა და სხვა პროფესორ-მასწავლებლებმა.

სამეცნიერო სესიის მონაწილეებმა კორნელი კეკელიძის ძეგლი ყვავილებით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დიდი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის ხსოვნას.

იოსებ ბოცვაძე – პრინციპული, საქმიანი და უკომპრომისო

10 მაისი ჟურნალისტების საერთაშორისო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით ჩვენ ხშირად ვმართავთ დისკუსიებს თანამედროვე ჟურნალისტიკის პრობლემებსა თუ მედიისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ჟურნალისტთა უფლებების დაცვაზე. ...და ხშირად გვავიწყდება იმ პიროვნებათა გახსენება, რომლებიც ქართული ჟურნალისტიკისა და ახალი ქართული ლიტერატურის ღირსეული მკვლევარები არიან.

ჩვენ საზოგადოებას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს გამოჩენილი მეცნიერის იოსებ ბოცვაძის ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არამედ გორის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების წინაშე.

მისმა ბავშვობამ თბილისში, ფიქრის გორაზე გაიარა. ბოცვაძეების ოჯახი იმ დროისთვის კულტურის ნამდვილ კერას წარმოადგენდა. მშობლებმა მთელი შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას მიუძღვნეს. დედა — ქალბატონი ნინო ბოცვაძე, ცნობილი ქართველი პოეტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის, იოსებ ბაქრაძის ქალიშვილი, ღირსეული მეუღლე იყო სახელგანთქმული მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძისა. უაღრესად დარბაისელი მანდილოსანი, კლასიკური ევროპული განათლებით, უცხო ენების შესანიშნავი მცოდნე, ჩინებული მოქართულე, თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი — ასეთად იცნობდნენ მას თანამედროვენი. საზოგადოდ, ბოცვაძეების ოჯახი წარმოადგენდა თავისებური მიზიდულობის სივრცეს, სადაც ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები იკრიბებოდნენ, რომლებიც სიტყვით თუ საქმით გულშემატკივრობდნენ თავიანთ ქვეყანას. ეს იყო კერა, სადაც „თერგდალეულთა“ სულისკვეთება წარმოადგენდა არა წარსულს, არამედ ცოცხალ სინამდვილეს, და ეს ხდებოდა იმ საბჭოურ ეპოქაში, როცა თავისუფლებისადმი სიყვარული და პატრიოტული გამოვლინებანი სარისკო საქმე იყო. ამდენად, ეს გარემო შინაგანად უპირისპირდებოდა ოფიციიოზის პოლიტიკას.

ბოცვაძეების ოჯახი დღევანდელი ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე ცხოვრობდა. სახლი ახლოს იყო უნივერსიტეტთან, ამიტომ აქ ხშირად სტუმრობდნენ სტუდენტებიც, რომლებსაც იოსებ ბოცვაძის მეუღლე, კეთილშობილი პიროვნება ქალბატონი მარგო (მარიამ) მესხი ჩვეული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლდებოდა. ძველებური აგურით ნაშენები სახლი N4 (სადაც თავის დროზე ლუარსაბ ბოცვაძის ჟურნალ „განათლების“ რედაქცია მდებარეობდა), ბევრისთვის ძვირფასი გახდა.

ბიოგრაფიული ცნობები

იოსებ ბოცვაძე 1914 წლის 27 ივლისს დაიბადა თბილისში, პედაგოგთა ოჯახში. დაწყებითი განათლება შრომის პირველ საცდელ სკოლაში მიიღო, 1930 წელს დაამთავრა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის პედაგოგიური ტექნიკუმი და მიენიჭა პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლის წოდება. პედაგოგიურ სარბიელზე ორი წლის მუშაობის შემდეგ, (ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა 91-ე სკოლაში), 1933 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის თეორიულ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1937 წელს. პარალელურად (1936 წელიდან) სწავლობდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1939 წელს და იმავე წლის ოქტომბერში ჩაირიცხა საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტურაში ქართული მეთოდიკის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრება ფაშისტურ გერმანიასთან ომის დაწყებას დაემთხვა, მაგრამ მან მაინც მოახერხა 1943 წელს წარმატებით დაეცვა დისერტაცია ქართული ლიტერატურის მეთოდიკაში და პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვა.

იოსებ ბოცვაძის არქივში ინახება მოწმობა, გაცემული კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ, რომელიც გვაუწყებს, რომ იგი ამ სცენაზე 1931-33 წლებში მუშაობდა სტატისტად, რაც დასტურია იოსებ ბოცვაძის თეატრისადმი განუზომელი სიყვარულისა. იგი ამ „მარადიულ სიყვარულს“ მთელი ცხოვრება ეთაყვანებოდა.

იოსებ ბოცვაძე 1942-52 წლებში ლექციებს კითხულობდა ქუთაისისა და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში. იგი ხელმძღვანელობდა სოხუმში ქართული ლიტერატურის კათედრას, შემდეგ იყო ამავე ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, შეთავსებით მუშაობდა აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის მთავარ რედაქტორად, სოხუმის თეატრის დასის გამგედ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ იმ პერიოდში სოხუმში ეროვნული სული ტრიალებდა, ამაში, გარკვეულწილად, იოსებ ბოცვაძის დიდი დამსახურებაც იყო.

1952 წლის სექტემბრიდან იოსებ ბოცვაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტად დაბრუნდა, ხოლო 1953 წლიდან ახლად შექმნილი ჟურნალისტიკის კათედრის ერთერთი დამფუძნებელია. ჟურნალისტიკის მაშინდელი კათედრის ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე. კათედრის წევრები იყვნენ ასევე ცნობილი მეცნიერები: ილია ნატროშვილი, ტარიელ კვანჭილაშვილი, ნოდარ ჩხეიძე...

1964 წელს იოსებ ბოცვაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ჟურნალისტიკის კათედრის პროფესორის წოდება, 1979 წელს იგი ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის პირველ გამგედ აირჩიეს ახლად შექმნილ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე — 1981 წლის 29 აპრილამდე ედგა სათავეში. მდიდარია მისი მეცნიერული მემკვიდრეობაც. იგი სამოცზე მეტი გამოკვლევისა და ასოცდაათამდე სტატია-რეცენზიის ავტორია. მან შეაგროვა და კომენტარები დაურთო მე-19 საუკუნის გამოჩენილ პუბლიცისტთა თხზულებებს. მარტო სერგი მესხის პუბლიცისტური მემკვიდრეობის სამი ტომის შედგენა-შეგროვება დაამშვენებდა ერთი მეცნიერის ბიოგრაფიას. საყურადღებოა მისი გამოკვლევები: — „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“, „ილია ჭავჭავაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“, „სერგი მესხი“, „ნიკო ლომოური“, „ქართული ჟურნალისტიკა“, „სერგი მესხი და 70-80-იანი წლების ქართული პრესა“, „პრესა და მწერლობა“, „საუნჯე ერისა“, და სხვა. მან შეადგინა, კომენტარები დაურთო და გამოსცა ქართულ პედაგოგიურ თხზულებათა სამტომეული. ასევე, თავისი სახელოვანი მამის — ლუარსაბ ბოცვაძის რჩეულ პედაგოგიურ თხზულებათა ოთხტომეული.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორმა იოსებ ბოცვაძემ სათავე დაუდო ჟურნალისტიკათმცოდნეობაში კრიტიკის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას და ცალკე დარგად ჩამოყალიბებას. მისი შრომები დღესაც საინტერესოა სტუდენტებისთვის და ქართველი მკვლევარებისთვის.

მოგონება

იოსებ ბოცვაძესთან მის მეგობრებსა და კოლეგებს დაუვიწყარი მოგონებები აკავშირებთ. საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, პროფესორ **ნუმზარ წერეთელს** სტუდენტობის წლებში და მის შემდეგაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან. იგი მეგობრობდა ბატონი იოსების უფროს ქალიშვილთან ნუნუსთან, რომელიც უდროოდ გარდაიცვალა. **„იოსებ ბოცვაძე არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ. კეთილი, მზრუნველი, სითბოსა და სიყვარულის უშურველად გამცემი, ამასთან პრინციპული და მომთხოვნი, უანგარო და ზედმიწევნით პატიოსანი ადამიანი. იგი ყოველთვის მაგონება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის დიდ ქართველ განმანათლებლებს, მოღვაწეებს, რომელთა მსგავსებს დღეს იშვიათად შეხვდებით. უნივერსიტეტში მკაცრ იოსებ ბოცვაძეს სახლში ძია სოსოს ვეძახდით. იგი ოჯახში სულ სხვა იყო — თბილი, მეგობრული, ალერსიანი, იუმორითა და სიკეთით სავსე. მოხშირებული სტუმრობის შემდეგ, ერთხელ, ბატონმა სოსომ მითხრა: ბიჭო, ასე ზუსტად ლექციებზე რომ დადიოდე, ტოლი არ გეყოლებოდაო, რაზეც ბევრი ვიცინეთ“.**

პროფესორი **ლადო თასვაძე** თავის მოგონებებში იოსებ ბოცვაძეს აფხაზეთის „მეპატრონეს“ უწოდებს. **„ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, იქ იღვწოდა. საოცარი ბუნების კაცი იყო — მოუსვენარი, აზარტული, ენერგიით სავსე. უნდოდა, ყველაფერი მოესწრო და ასწრებდა კიდეც. მრავალრიცხოვან მეგობრებთან ერთად სუფრასთან თამადობასაც ასწრებდა. დაუვიწყარი იყო მისი მოხსენებები ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოებზე — პრინციპული, საქმიანი და უკომპრომისო. მიუხედავად ბევრი სიძნელისა და ბარიერისა, მას მოსკოვში, საბჭოთა კავშირის სამინისტროში ხშირად გაუტანია ინსტიტუტისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები და კონცეპტუალური ცვლილებებიც შეუტანია როგორც დისციპლინაში, ასევე ცხრილებში, რაც იმ დროს არც თუ იოლი და უსაფრთხო საქმე გახლდათ. ბატონი სოსო აქტიური მოღვაწე იყო, გამორჩეული ადამიანური ღირებულებებით.“**

მწერალი **ვუმბერ თიმომერია** იოსებ ბოცვაძეს ახასიათებდა, როგორც ქართული ჟურნალისტიკის და ახალი ქართული ლიტერატურის ღირსეულ მკვლევარს. მისი აზრით, ამ შესანიშნავმა პედაგოგმა ძალიან ბევრი გააკეთა ჟურნალისტთა თაობების ზნეობრივ-პროფესიული აღზრდისთვის. **„მის ოჯახში ჩემმა თანაჯგუფელმა ალექსანდრე (დურუ) შენგელიამ მომიყვანა. ერთხელ ჩვენი იქ ყოფნის დროს თითქმის ნახევარი საათი იჯდა და რაღაცას წერდა. რომ დაამთავრა, გვითხრა: ხვალინდელი ლექციისთვის თეზისებს ვწერდიო. იოსებ ბოცვაძე ჩვეულებრივი, რიგითი ლექციისთვის ემზადებოდა! გაოცება რომ შეგვატყო, გვითხრა: ასე, აბა! პასუხისმგებლობის გრძნობით, ვისაც გნებავთ, იმას შევეჯიბრებიო!"**

აკადემიკოსი **ნინო ჯავახიშვილი** და იოსებ ბოცვაძე ბავშობიდან იცნობდნენ ერთმანეთს. მაშინდელ ოთხწლედშიც და მე-19 სკოლაშიც ერთად სწავლობდნენ. ამიტომ მოსაგონარი მასაც ბევრი აქვს. ქალბატონი ნინო იმ ბედნიერ დროს იხსენებს, როდესაც შესანიშნავი პედაგოგები: იაკობ ზედგენიძე, ტერენტი ვეფხვაძე, თამარ გიორგობიანი, მიხეილ ზანდუკელი განსხვავებულ გარემოს აქვიდრებდნენ გიმნაზიაში. **„ჩვენმა მასწავლებლებმა შეგვასწავლეს არა მარტო საგნები, არამედ ადამიანური ურთიერთობებიც. სკოლის წლებში, ავად თუ გავხდებოდი, გაცდენილი გაკვეთილების გასაგებად სოსოს მივმართავდი, როგორც ყველაზე ახლო მეზობელს და კარგ მოსწავლეს. სკოლის დამთავრების შემდეგ, მრავალი ათეული წლის განმავლობაში, გარკვეულ დღეს ვიკრიბებოდით სკოლის შენობასთან, რათა გვენახა ერთმანეთი, გაგვეხსენებინა მოწაფეობის წლები.“**

როგორც უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორი **დლი ჩიკვილაძე** აღნიშნავს, **„იოსებ ბოცვაძე თბილისელი კაცი იყო, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი — ინტელიგენტი არა მხოლოდ ოჯახური წარმომავლობით, არამედ აღზრდით, სულიერი წყობით, თვისებებით. იგი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ბურჯი და ხერხემალი იყო.“**

იოსებ ბოცვაძე გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად

ვახტანგ ჯობაძის წიგნმა მეორე ცხოვრება დაიწყო

პრეზენტაცია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდში

მაკა ლდოკონენი

1 მაისს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ფონდში შედგა ვახტანგ ჯობაძის წიგნის — „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“ ქართული თარგმანის წარდგენა. პრეზენტაციას ილია II, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზიკის ეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), ვახტანგ ჯობაძის და — თინა და ქალიშვილი ეთერ ჯობაძეები, ცნობილი მეცნიერები და ხელოვანები ესწრებოდნენ.

მონოგრაფია „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში" 15 წლის წინ ინგლისურ ენაზე გამოიცა აშშ-ში. ტაო-კლარჯეთისა და ლაზიკის ეპისკოპოს თეოდორეს განცხადებით, მაშინ, როდესაც ქართველ მეცნიერებს საშუალება არ ჰქონდათ საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ძეგლების კვლევა ეწარმოებინათ, ვახტანგ ჯობაძემ თავდაუზოგავი შრომა გასწია და მსოფლიოს დაანახა, რომ ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში არსებული ეკლესია-მონასტრები ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებია.

წიგნის გამოცემა კათოლიკოს-პატრიარქის ფონდმა დააფინანსა. მონოგრაფია ინგლისური ენიდან ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა დიმიტრი თუმანიშვილმა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დავით ხოშტარიამ თარგმნეს. რედაქტორი აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე გახლავთ. წიგნი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა.

ხელოვნების ისტორიკოსი და არქეოლოგი ვახტანგ ჯობაძე დაიბადა 1917 წელს. 1940 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ხელოვნების ისტორიის განხრით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწავლობდა გიოტინგენისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში. 1950 წლიდან აშშ-ში დამკვიდრდა და ჯერ იუტას, ხოლო შემდეგ კალიფორნიის უნივერსიტეტებში მოღვაწეობდა. 60-იანი წლებიდან აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ კოლეგებთან, ჩამოდიოდა საქართველოში, მონაწილეობას იღებდა ქართული ხელოვნების ისტორიისადმი მიძღვნილ მსოფლიო სიმპოზიუმებში. 1996 წელს ვახტანგ ჯობაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად აირჩიეს.

ვახტანგ ჯობაძის სამეცნიერო საქმიანობა თემატურად ძალზე მრავალფეროვანია. განსაკუთრებით ღირებულია მისი წვლილი ამჟამად თურქეთის ფარგლებში მოქცეული ისტორიული ქართული მხარის — ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესწავლაში. 1965-1983 წლებში მან ამ მხარეში რვა ექსპედიცია მოაწყო და უზარმაზარი შრომა გასწია, როგორც ახალი მასალის გამოსამზეურებლად, ისე მის დასამუშავებლად. თურქეთში ვახტანგ ჯობაძის მრავალწლიანი მუშაობა დაგვირგვინდა 1992 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემული მონოგრაფიით „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“.

— ამ წიგნმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი ცოდნა ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესახებ. მასში განხილული და აღწერილია ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთის მრავალი ეკლესია და მონასტერი, მათ შორის ისეთებიც, რომელთა შესახებ მანამდე ცოტა რამ ან სულაც არაფერი ვიცოდით (ახიზა, ესბეკი, პარეხთა, არტანუჯი, ანჩი). დეტალურად არის შესწავლილი ტაოს ყველაზე დიდი ეკლესია — ოშკი. კვლევის ძირითადი სფერო ხუროთმოძღვრებაა, თუმცა, მეცნიერი საკმაო ყურადღებას უთმობს კედლის მხატვრობასა და ქანდაკოვან შემკულობასაც, აგრეთვე ეპიგრაფიკას — გამოქვეყნებული და გარჩეულია ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების იმ ხანად ცნობილი ყველა წარწერა, რომელთაგან რამდენიმე თავად ვახტანგ ჯობაძის აღმოჩენილია, — აღნიშნა წიგნის წარდგენაზე საპატრიარქოს ფონდის მდივანმა, დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ.

ვახტანგ ჯობაძე შესავალ წერილში დიდ მადლობას უძღვნის მონოგრაფიის ქართულ ენაზე გამოცემის ინიციატორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს, გამოცემის რედაქტორს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძესა და უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ გიორგი ხუბუას. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „წინამდებარე ქართულენოვანი მონოგრაფიის გამოცემაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით დიმიტრი თუმანიშვილსა და დავით ხოშტარიას, რომელთაც ინგლისურიდან ქართულად თარგმნეს და გამოსაცემად მოამზადეს ეს მონოგრაფია“.

„ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში" დიდ სამსახურს გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას, მართალია, ეს წიგნი თხუთმეტი წლის წინ ინგლისურ ენაზე გამოიცა, მაგრამ არ მეგულება მას აქეთ გამოსული სერიოზული ნაშრომი ხუროთმოძღვრებაზე, ქანდაკებასა თუ მხატვრობაზე, რომელშიც ბატონი ვახტანგის მონოგრაფია არ ყოფილიყო გამოყენებული თუ დამოწმებული“, — განაცხადა დიმიტრი თუმანიშვილმა. მან გულისწყვეტით აღნიშნა ის ფაქტი, რომ წიგნის წარდგენა მთარგმნელებს უწევთ: **— „საპატრიარქოს ფონდი უფრო ადრე რომ ყოფილიყო დაარსებული, ჩემს ადგილას ახლა ავტორი იდგებოდა. თუმცა, სალაპარაკოც ბევრი არაფერი მაქვს — ქართულ მეცნიერებაში ბატონი ვახტანგის ამ ნაშრომმა დიდი ხანია დაიმკვიდრა თავისი ადგილი. მე მსურს, სრულიად სხვა გარემოებას გავუსვა ხაზი: როდესაც გარკვეული მიზეზების გამო ქართული გრძნობითა და ქართული გულით დაწერილი წიგნები სხვათა ენაზე გამოდის, აუცილებელია მათი ბუნებრივ ენაზე აყვერება. დღეს ეს წიგნი დაბრუნდა არა ქართულ მეცნიერებაში, არამედ ქართულ ცხოვრებაში. იმედი მაქვს, ის გახდება ჩვენი ცხოვრების ნაწილი, მისი კითხვა ისევე სასიამოვნო იქნება ქართულად, როგორი სიამოვნებითაც ჩვენ მას ინგლისურად ვკითხულობდით.“**

ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემაც. მას მიაჩნია, რომ ქართულ ენაზე თარგმნის შემდეგ ვახტანგ ჯობაძის მონოგრაფიამ მეორე ცხოვრება დიწყო. პრეზენტაციაზე მან ხაზგასმით აღნიშნა ბატონი ვახტანგის მეუღლის, ირენის როლი: **— „ქალბატონი ირენი ყოველთვის გვერდით ედგა მეუღლეს, ისინი საკუთარი ხარჯებით აწარმოებდნენ არალეგალურ გათხრებს თურქეთში. მაშინდელი სიტუაციიდან გამომდინარე, იქაურ მთავრობას არ უნდა სცოდნოდა, რომ ქართველი მეცნიერი ატარებდა ქართული ეკლესია-მონასტრების კვლევას. ამგვარი ექსპედიციების წყალობით ბატონმა ვახტანგმა არაერთი ქართული ძეგლი ახლებური ინტერპრეტაციით შემოიტანა ჩვენს ცნობიერებაში. მან დაგვიტოვა ტაო-კლარჯეთის ძეგლების უზუსტესი აღწერილობა და გამოავლინა მრავალი ქართული ეპიგრაფიკული წარწერა, რომლის არსებობის შესახებ მანამდე არავინ იცოდა“,** — განაცხადა მარიამ ლორთქიფანიძემ.

ემოციური გახლდათ ვახტანგ ჯობაძის ქალიშვილის, ეთერ ჯობაძის გამოსვლა, რომელიც საქართველოს მხოლოდ მეორედ ესტუმრა: **— „ბედნიერი ვარ დღეს, ვინაიდან მამაჩემის საქმის დამფასებელ ადამიანებს ვხედავ. მართალია, მეორედ ვარ საქართველოში, მაგრამ ეს მცირე დროც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მივმხვდარიყავი — როგორი ხალხია ქართველები, რატომ უყვარდა მამაჩემს ასე ძალიან თავისი სამშობლო. იმედი მაქვს, მამაჩემის წიგნები სიამაყის გრძნობით აღავსებს ქართველებს. მწამს, რომ საქართველოს მომავალი სწორედ მის წარსულშია. უნდა ამაყობდეთ თქვენი სამშობლოს წარსულით, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეინარჩუნებთ თქვენს არაჩვეულებრივ კულტურულ იდენტობას. ქართველები არჩვეულებრივი ხალხი ხართ და მეც ვამაყობ ამით, ვინაიდან გარკვეულწილად თქვენი ნაწილი ვარ!"** — განაცხადა ქალბატონმა ეთერმა წიგნის პრეზენტაციაზე.

საპატრიარქოს ფონდის მდივანმა, დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ ნიშანდობლივად მიიჩნია ის ფაქტიც, რომ სწორედ საპატრიარქოს ფონდში გაიმართა ვახტანგ ჯობაძის წიგნის წარდგენა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საპატრიარქოს ფონდის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული სახელმწიფოებრიობის, სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება-განვითარებას.

ღონისძიების ბოლოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II წიგნის პრეზენტაციაზე მისული საზოგადოება და ბატონი ვახტანგის საქმიანობა დალოცა: **— „წმიდა მამები ამბობენ, რომ არსებობს სულთა კავშირები. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ბატონი ვახტანგის სული ჩვენთან ერთად ზეიმობს. წმიდა ექვთიმეს შემდეგ მე არ მეგულება ქართველი მკვლევარი თუ მეცნიერი, რომელიც ასე თამამად საუბრობს იმ საკითხებზე, რომლებზე საუბარიც დიდი ხნის მანძილზე აკრძალული გვქონდა — ეს გახლავთ შავი მთა, ანტიოქია, ტაო-კლარჯეთი, ასევე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი.“**

ვახტანგ ჯობაძე წელს, 17 თებერვალს, ამერიკაში გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, ოჯახმა მისი ფერფლი საქართველოში ჩამოიტანა და 4 მაისს მშობლების გვერდით მიუჩინა ადგილი.

წიგნებს აქვთ თავიანთი ბედი

23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღეს უმასპინძლა. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გამგეობისა და თსუ-ს რექტორატის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ამ დღეს საქართველოში ყოველთვის უნივერსიტეტი უმასპინძლებს.

თსუ-ს რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ უნივერსიტეტის ბაღში შეკრებილ საზოგადოებას წიგნის მსოფლიო დღე მიულოცა.

„ძლიერი საქართველო შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ განათლებული, წიგნიერი საქართველო. წიგნის გამომცემლებისა და თსუ-ს ერთობლივი ინიციატივა — წიგნის მსოფლიო დღე ამიერიდან უნივერსიტეტში აღინიშნოს, საზოგადოებაში კიდევ უფრო გააძლიერებს წიგნისადმი ინტერესს. უნივერსიტეტი გამორჩეული ადგილია წიგნისთვის. აქ წიგნს ყოველთვის ბევრი გემოვნებიანი მკითხველი ჰყავს“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

თსუ-ს გამომცემლობის ხელმძღვანელმა ნუგზარ წიკლაურმა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გამგეობისა და თსუ-ს რექტორატის მიერ შემუშავებული „წიგნის დღის მანიფესტი" გამოაქვეყნა:

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებენ წიგნის უცვლელ როლსა და ადგილს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, მის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე; გამოხატავენ თავიანთ მხარდაჭერას იუნესკოს მიერ 1995 წელს დაწესებული „წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღისადმი" და ნიშნად ამისა, თანხმდებიან: წიგნის, კითხვისა და ინტელექტუალური საკუთრების პოპულარიზაციის მიზნით, ერთობლივად აღნიშნონ ეს დღე უნივერსიტეტის ეზოში ჩატარებული აქციებით — წიგნების შეღავათიან ფასად გაყიდვით, უნიკალური საბიბლიოთეკო ექსპონატების გამოფენით, ახალი გამოცემების პრეზენტაციით, საჯარო კითხვითა და სხვა საპრომოციო ღონისძიებებით.“

უნივერსიტეტის ბაღში, ფაქტობრივად, ყველა ქართული გამომცემლობა შეიკრიბა. სტენდებზე გამოფენილი წიგნების უმეტესობა მნიშვნელოვანი ფასდაკლებით იყიდებოდა და საჩუქრადაც რიგდებოდა. მთელი აქცია სწორედ წიგნის ჩუქების დეკეზით წარიმართა, რაც მოწოდების სახით „წიგნის დღის მანიფესტშიც" იყო ხაზგასმული: **„მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია კულტურის ფასეულობები, ამ დღის აღსანიშნავად შეიძინოს და აჩუქოს წიგნი ახლობელს, ნაცნობს, გულის სწორს ან თუნდაც უცნობ ადამიანს; საჩუქრად მიღებულ წიგნს, წიგნის ჩუქებითვე უპასუხოს. 23 აპრილი წიგნის ჩუქების დღეა! აჩუქეთ ერთმანეთს წიგნი!"**

წიგნის მოყვარულთა განსაკუთრებული ყურადღება თსუ-ს ბიბლიოთეკის მიერ გამოფენილმა ექსპონატებმა მიიპყრეს. ბიბლიოთეკის თანამშრომლები მაინც ღელავდნენ, რადგან უნიკალურ ნიმუშებს განსაკუთრებული პირობები და ტემპერატურა სჭირდებათ. მათი თქმით, ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ რამდენიმე ნიმუშის გამოფენა მაინც შეძლეს. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი — 1629 წელს რომში დასტამბული

რა... სად... როდის...

გერმანიაში, კელნის საუნივერსიტეტო კლინიკის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კაკაო გაცილებით უფრო მეტად უწყობს ხელს სისხლის წნევის დაწევას, ვიდრე ჩაი. მკვლევართა ერთი ჯგუფი, ორი კვირის განმავლობაში, კაკაოს შემცველ პროდუქტებს იყენებდა. მათი სისხლის წნევა ისევე დაიწია, როგორც სამედიცინო პრეპარატების მიღების დროს ხდება. ექსპერიმენტის შედეგად გამოიკვეთა, რომ კაკაოს სისტემატური ხმარება ინსულტებისა და გულის შეტევების საშიშროებას 10-20%-ით ამცირებს. ამის მიზეზად დაასახელეს პოლიფენოლები ანუ ქიმიური ნაერთი, რომელიც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისათვის გამოიყენება. მაგრამ პროციანიდი, რომელსაც კაკაო შეიცავს, უფრო აქტიური პოლიფენოლია.

გამოკვლევის ავტორმა, დირკ ტაუბერტმა საზოგადოება მაშინვე გააფრთხილა, რომ კაკაოს შემცველი, შოკოლადის აქტიური გამოყენება იგივე შედეგს არ მოიტანს, რადგან შოკოლადში ცხიმებისა და შაქრის დიდი რაოდენობა პროდუქტს მაღალ კალორიულობას ანიჭებსო. სუფთა კაკაოს გონიერი გამოყენება კი ჰიპერტონიის თავიდან აცილების საშუალებად მიიჩნია.

ITალიელმა არქეოლოგებმა სამხრეთ კვიპროსში, ქალაქ პირგოსის მიმდებარე ტერიტორიაზე ვეებერთელა პარფიუმერული საწარმო აღმოაჩინეს. ცნობილია, რომ ქალაქ პირგოსში სიყვარულის ქალღმერთის, ვენერას ტაძარი იყო აღმართული და პარფიუმერიაც, როგორც ჩანს, მის პატივსაცემად განვითარდა. გათხრებმა, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო, ხუთი ათასი კვადრატული კილომეტრი მოიცვა. აღმოჩენილი საწარმოს სიდიდემ არქეოლოგები გაოგნებული დატოვა. დოქტორმა ბელჯორნომ ისიც კი განაცხადა, როგორც ჩანს, სუნამოს აქ ინდუსტრიული მასშტაბებით აწარმოებდნენო.

ეს საწარმო, რომელიც არქეოლოგთა აზრით ჩვ.წ. 1850 წელს, ანუ ოთხი ათასი წლის წინ ძლიერმა მიწისძვრამ გაანადგურა, სავარაუდოდ, ანტიკური სამყაროს ძალიან დიდ ნაწილს სუნამოთი ამარაგებდა. ისინი თვლიდნენ, რომ სუნამოს ძირითადი ინგრედიენტები ზეითუნის ზეთი, ყვავილები, ქინძი, ოხრახუში და მწარე ნუში იყო. გათხრებისას, მშვენივრად შენახული უამრავი თაბაშირის ჭურჭელი მოიძიეს, რომელთაც რომის კაპიტოლიუმის მუზეუმში მიუჩინეს ადგილი.

ბიომეტრია უფრო და უფრო იკიდებს ფეხს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადრე თითების ანაბეჭდი მხოლოდ პოლიციას აინტერესებდა, დღეს კი, მისი გამოყენება სხვა სფეროებშიც სურთ. მაგალითად, ლონდონის აეროპორტში, მანქანის დაქირავება მხოლოდ თითების ანაბეჭდის დატოვების შემდეგ შეიძლება. ეს პოლიციისა და გამქირავებელი ფირმის ერთობლივი ექსპერიმენტია, თუმცა იგი ყველა კლიენტისთვის სავალდებულოა. მანქანის მოპარვის ან უბედური შემთხვევის შემდეგ, ფირმა პოლიციას თითების ანაბეჭდს გადასცემს, ეს კი მათ მუშაობას ძალიან გააიოლებს. „ეს პირად ცხოვრებაში შეჭრას არ ნიშნავს, — განაცხადა პოლიციის სერჟანტმა, — უბრალოდ ახალ წესრიგს უნდა მივეჩვიოთ. პოლიცია ხომ ამ ანაბეჭდებს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მიიღებს“. რა თქმა უნდა, ახალი წესრიგი ბევრს არ მოეწონა და ზოგიერთებმა სასამართლოსაც კი მიმართეს. მიუხედავად ამისა, დიდ ბრიტანეთში ბიომეტრიის პროცესი კვლავ ვითარდება. უკვე გაჩნდა პასპორტი, რომელშიც მიკროჩიპია დამონტაჟებული მფლობელის მონაცემებით. ასეთი პასპორტი მილიონზე მეტმა ადამიანმა ნებაყოფლობით აიღო. უახლოეს მომავალში, სუპერმარკეტებში საკრედიტო ბარათების ნაცვლად, ალბათ, თითების ანაბეჭდებს გამოიყენებენ.



საფრანგეთმა უცნობი მფრინავი ობიექტების მონაცემთა საიდუმლო მასალები გამოაქვეყნა. იგი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ინტერნეტში აქამდე ფარული, საარქივო მასალები შეიყვანა. აქ ვხვდებით საპოლიციო ოქმებს, მოწმეთა ჩვენებებს, ფოტოებს და ნახატებს. მთლიანად წარმოდგენილია, დაახლოებით, ათი ათასი დოკუმენტი. არქივის გამოქვეყნებამ ისეთი დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ გადატვირთვის გამო საიტზე შესვლა თითქმის შეუძლებელია. საფრანგეთის ეროვნულმა კოსმოსურმა სააგენტომ განაცხადა: — მასალების გამოქვეყნება რამდენიმე მიზეზის გამო გადავწყვიტეთ, ჯერ ერთი, სამეცნიერო წრეების ყურადღების მიქცევა გვსურდა, მეორეც, საზოგადოება გვინდა გავათავისუფლოთ ეჭვისგან, რომ თითქოს რაღაცას ვუმალავთო.

ეროვნულ კოსმოსურ სააგენტოში ყოველწლიურად ორმოცდაათიდან ასამდე განაცხადი შემოდის. ექსპერტები მონაცემთა დაახლოებით 10%-ს იკვლევენ.



ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, მსოფლიოში პირველად, ადამიანთა იმუნოდეფიციტის გამომწვევი ვირუსის სტრუქტურის სამგანზომილებიანი მოდელი შექმნეს. პროფესორ სტეფან ფულერის განცხადებით, ვირუსის ეს სამგანზომილებიანი მოდელი სპეციალისტებს შიდსის განვითარების პროცესების შესწავლაში დაეხმარება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ დაავადების უფრო ეფექტური თერაპიის ჩამოყალიბებას.

დღესდღეობით მსოფლიოს მხოლოდ ხუთ ქვეყანაში არ აძლევენ ქალებს მშობიარობის შემდეგ ფასიან შვებულებებს. ესენია: პაპუა-ახალი გვინეა, სვაზილენდი, ლესოტო, ავსტრალია, აშშ. თუმცა, აშშ-ის ზოგიერთ შტატში უკვე მიიღეს ადგილობრივი კანონი მშობიარობის შემდგომ შვებულებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ 27 ქვეყანაში, ოჯახის სურვილის გათვალისწინებით, ფასიანი შვებულება უნაზღაურდება არა ქალს, არამედ ახალგაზრდა მამას.

აიოვას შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ შიმპანზეს არა მხოლოდ შრომის იარაღების, არამედ საბრძოლო იარაღის, კერძოდ შუბის გაკეთება და გამოყენებაც კი შეუძლია. თანაც, ამას მხოლოდ მოზრდილი მამრი კი არა, პატარა შიმპანზეებიც ახერხებენ. ახალმა აღმოჩენამ ჯიშების ევოლუციისა და მათი მამოძრავებელი ძალების თეორია ეჭვქვეშ დააყენა. „ამ გამოკვლევის შემდეგ, ჩვენი შეხედულებები ევოლუციისა და შრომითი იარაღების გამოყენების შესახებ საფუძვლიანად უნდა გადაიხედოს, ნადირობის საკითხში, ჩვენ ყოველთვის ზრდასრული მამრების როლს ვუსვამდით ხაზს, ახლა კი აღმოჩნდა, რომ მათ თურმე არც მდედრები და ჩვილები ჩამორჩებიან“, — განაცხადა პროექტის ავტორმა ჯილ პრიუცმა.

რედაქტორი	ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი	გივი შეყილაძე
სტილისტი, კორექტორი	მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:

გია მაჩაბელი,
ზაზა ფირალიშვილი,
ვახტანგ გურული,
ნინო ჩიხლაძე,
ნოდარ ხადური
თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1

22 10 34

www.tsu.ge

@ newspaper@tsu.ge

სიახლე

გაზეთი „ახალგაზრდა იურისტი“ სტუდენტების სოციოლოგიურ გამოკითხვას იწყებს

თსუ-ს სტუდენტური გაზეთი „ახალგაზრდა იურისტი“ 10 მაისიდან იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა სოციოლოგიურ გამოკითხვას სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ.

გაზეთს აინტერესებს, რამდენად არიან უნივერსიტეტის სტუდენტები ინფორმირებულნი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ, რამდენად ახლოს დგას თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტური ცხოვრების პრობლემატიკასთან, რამდენად არის ეს სტრუქტურა ქმედითი და, რაც დღეს ყველაზე აქტუალურია, პოლიტიზირებულია თუ არა სტუდენტური თვითმმართველობა.

გაზეთ „ახალგაზრდა იურისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები 1500 სტუდენტის გამოკითხვას გეგმავენ. შედეგებს, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებენ.

სპორტი

ზაურ ჯავახიშვილი ამერიკის ნაციონალური ჩემპიონატის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს



ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ატლანტიკ-სიტიში დამთავრდა ამერიკის ნაციონალური ჩემპიონატი ათლეტიზმში, სადაც გამონაკლისის სახით დაშვებული იყო ცნობილი ქართველი ათლეტი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ათლეტიზმის კლუბ „ამირანის“ სპორტსმენი **ზაურ ჯავახიშვილი** (60 კგ-მდე წონითი კატეგორია).

ზაურმა ათლეტიზმის სამ სახეობაში იასპარეზა. ჯერ წოლჭიმში გაიმარჯვა შედეგით 152.5 კგ, შემდეგ რეპში (წოლჭიმი გამეორებებით - ათლეტი თავისი პირადი წონის ტოლი სიმძიმის შტანგას ჭიმავს), სადაც მან მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდი დაამყარა - 60 კგ. 50-ჯერ აჭიმა. ბოლოს სპორტსმენმა ბიცეპსებით წონის აწევაში გაიმარჯვა ასევე მსოფლიო რეკორდით - 63 კგ. ზაურ ჯავახიშვილი ჩემპიონატის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

ზაურ ჯავახიშვილი დაიბადა 1983 წელს ქალაქ სიღნაღში. სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში. მისი პირადი მწვრთნელია მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **შოთა ბეჟაშვილი.**

ზაური მესამე ქართველია, რომელიც ათლეტიზმში ამერიკის ნაციონალურ ჩემპიონატზე დაუშვეს. პირველები იყვნენ თსუ „ამირანის“ წარმომადგენლები, მსოფლიო ჩემპიონები **ბორის სარალიძე** (90 კგ-მდე კატეგორია) და **ვეფხია ჯმუხაძე** (110 კგ-მდე კატეგორია). ამ ათლეტებმა 2001 და 2002 წლებში იასპარეზეს აშშ-ს ჩემპიონატზე და ორივეჯერ ოქროს მედლები მოიპოვეს.

ზაურ ჯავახიშვილს გამარჯვება პირადად მიულოცა ამერიკული ათლეტიზმის ლეგენდამ **გენ რიჩლაკმა**. ეს ის ათლეტია, ვინც პირველმა აასრულა ამერიკელების მრავალწლიანი ოცნება და წოლჭიმში 1000 ფუნტიანი ზღვარი გადალახა. 2005 წელს მან 1005 ფუნტი (456 კგ.) აჭიმა.

უნივერსიტეტის ათლეტიზმის კლუბ „ამირანს“ ხელმძღვანელობს სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, პროფესორი **ზურაბ ჭავჭანიძე.**

თსუ „ამირანის“ მიერ ბოლო წლებში მოპოვებულ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ **გიორგი ხუბუას,** რომელიც უნივერსიტეტში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

საკონტაქტო ტელეფონები:

რექტორის მისაღები	22-51-07
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	22-35-01
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	22-32-91
საერთო განყოფილება (კანცელარია)	23-39-16; 22-59-44
სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური	22-78-99; 22-54-50
საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი	22-56-79
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	22-36-19
საფინანსო სამსახური	91-24-95
სტუდენტური თვითმმართველობა	25-12-38
სამუზეუმო სამსახური	29-08-42
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	25-08-13; 25-36-18

ფაკულტეტების დეკანატები:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-08-07
ჰუმანიტარული ფაკულტეტი	22-21-08
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-05-94
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	30-45-36
იურიდიული ფაკულტეტი	22-37-10
მედიცინის ფაკულტეტი	94-34-54

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ